ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გია ხუხაშვილი: „მხოლოდ ინდაური გადაგვარჩენს“



„მთავრობას მომავლის ეშინია“

გვ.5

1 დეკემბრიდან

კლაივ გიფორდი

ჯაშუშები და ჯაშუშობა

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2016 №285 (7210) ფასი: 50 თეთრი

# „კვირიკაშვილმა პირდაპირ გვითხრა, ლარს აღარაფერი ეშველებაო“

გვ.3





რა მოსთხოვა ივანიშვილმა მთავრობას

## ლევან ხაბეიშვილი: „ხელისუფლება შოკშია და გაუაზრებელ განცხადებებს აკეთებს“



## ნაცმოძრაობაში სააკაშვილის გუნდმა გაიმარჯვა



ნუგზარ წიკლაური: „პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევა არ მოხდება“

გვ.2

გიგა ბოკერია: „დავით ბაქრაძე საუკეთესო კანდიდატურაა“



## რომან გოცირიძე: „მთავრობას უნდა, რომ ხალხი მოატყუოს“



„სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმა უკუეფექტს მოიტანს“ გვ.6

## რა ელით ონლაინ სესხების გამცემ კომპანიებს

გვ.7



გიორგი კაკაურიძე: „ის ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის გალატაკებაზე მუშაობენ, ეტაპობრივად გაუქმდებიან“

ISSN 1987-9385

მიზანში ოკუპაციის შესახებ კანონია გვ.3

## პარლამენტი ბუსუსებიან პრეზერვატივებს შეეშვა



## თენგიზ დიხამინჯია: „კონფედერაცია სოხუმთან და ცხინვალთან ჩვენთვის მიუღებელია“

გვ.4



# ნაცმოძრაობაში სააკაშვილის გუნდმა გაიმარჯვა

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება გრძელდება. ამ ეტაპზე ბრძოლა სააკაშვილის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, პარტია ფართომასშტაბიან ყრილობას გამართავს.**

**29 ნოემბერს პოლიტსაბჭოს 22 წევრმა გააკეთა საგანგებო განცხადება, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ პარტიამ 7.000-იანი ყრილობა უნდა გამართოს. მათივე მტკიცებით, სანამ სააკაშვილი დევნილობაშია, პარტიის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური უნდა იყოს.**

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვთ პარლამენტში მოხვედრილ ნაციონალებს. მათ პარტიაში როგორც გიგა ბოკერიას დაჯგუფებას, ისე მოიხსენიებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ პარტიამ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. მათი ფავორიტი დავით ბაქრაძეა.

ყრილობის ფორმატზე სამსჯელოდ ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭო გუშინ, 30 ნოემბერს, შეიკრიბა. სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო. პოლიტსაბჭოს წევრები სხდომის დაწყებამდე ძალიან დაძაბულები ჩანდნენ.

პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომას 60 წევრიდან 50 წევრი ესწრებოდა. ენმ-ს ლიდერები 3 საათის განმავლობაში განიხილავდნენ საკითხს, თუ როგორ და რა ფორმით უნდა გაიმართოს პარტიის ყრილობა, ასევე მსჯელობის საკითხი იყო, უნდა აირჩიონ თუ არა ყრილობაზე პარტიის ახალი თავმჯდომარე.

პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევას კატეგორიულად ეწინააღმდეგება პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ხერხეულიძე. მისი თქმით, პარტიას ჰყავს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი. ხერხეულიძის თქმით, მისი შეცვლა ბიძინა ივანიშვილის ზრახვების დაკმაყოფილება იქნება. მისი განცხადებით, თავისი პოზიციით ის სიმართლის მოკავშირეა და არა ბიძინა ივანიშვილის.

– უნდა გავითვალისწინოთ იმ მოკავშირეების და ამომრჩევლების პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ამ ქვეყანას შეუქმნა სახელმწიფოებრიობა და უბრალოდ რუს ოლიგარქს არ სურს, რომ მან მოღვაწეობა გააგრძელოს. ცხადია, მე არ ვიქნები იმის მოკავშირე, რომ ივანიშვილის ზრახვები დავაკმაყოფილოთ, – განაცხადა ეკა ხერხეულიძემ.



## ნუგზარ წიკლაური: „პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევა არ მოხდება“

მის პოზიციებს იზიარებს კიდევ ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური. მან პოლიტსაბჭოს დაწყებამდე განაცხადა, რომ შესაძლოა ნაციონალური მოძრაობის ნაწილმა ყრილობას ბოიკოტი გამოუცხადოს:

– პარტიის ყველა რეგიონული ორგანიზაცია მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილს და მის მიერ ინიცირებულ ყრილობის ვარიანტს, ამიტომ თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ერთ მხარეს იქნება მთელი პარტიული ორგანიზაცია, მეორე მხარეს კი, პოლიტსაბჭოს გარკვეული ჯგუფი, რომელსაც არანაირი გავლენა არ აქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. იმ შემთხვევაში თუ ასეთი დესტრუქციული გადაწყვეტილება იქნება მიღებული, სამწუხაროდ, ძნელი იქნება სასიკეთო მოვლენების განვითარების პროგნოზირება. არ გამოირიცხება არც ერთი ვარიანტი, მათ შორის არც ბოიკოტი იმ დანიშნული ყრილობის, რომელსაც ზოგიერთი გეგმავს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნუგზარ წიკლაურმა.

დეპუტატ ელენე ხოშტარიას თქმით, 7.000-იანი ყრილობის ჩატარება უაზრობაა. პოლიტსაბჭოზე გასამართ ვნებათაღელვას ის ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა.

– 2000-ზე მეტკაციანი ყრილობა მიმაჩნია სრულიად წარმომადგენლობითად, თავმჯდომარის არჩევაც ძალიან მნიშვნელოვნად, რაც არ ნიშნავს არავისგან გამიჯვნას. ნიშნავს ევროპული ტიპის პარტიას. ამ საკითხისგან გახლეჩვის და ლანძღვა-გინების დაწყება სრულიად გაუგებარია, – დაწერა ელენე ხოშტარიამ.

3-საათიანი პოლიტსაბჭო საკმაოდ დაძაბული გამოდგა. გამარჯვება სააკაშვილის გუნდმა მოიპოვა.

როგორც ენმ-ს ერთ-ერთი ლიდერი ჩიორა თაქთაქიშვილი აცხადებს, ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პარტიაში ჩატარებულ კენჭისყრაზე პოლიტსაბჭოს უმრავლესობამ ყრილობის ფართომასშტაბიანი ფორმატით ჩატარებას დაუჭირა მხარი.

– 25/24 1-მა თავი შეიკავა. გაიმარჯვა მიშას გუნდმა, – განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მისივე განმარტებით, პარტია ფართომასშტაბიან ყრილობას 20 იანვარს ჩაატარებს.



რაც შეეხება პარტიის თავმჯდომარის არჩევის საკითხს, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოუხსნიათ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ დავით ბაქრაძე კარგი თავმჯდომარე იქნება.

– პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყრილობა ჩატარდეს იანვრის ბოლოს. მე ამას არ ვეთანხმებოდი, მაგრამ პოლიტსაბჭომ ასე გადაწყვიტა. მე ვფიქრობ, რომ ბაქრაძის თავმჯდომარედ არჩევა პარტიას წაადგება. მიხელ სააკაშვილი არ არის თავმჯდომარე იმის გამო, რომ ის დევნილია. პარტიის თავმჯდომარის არჩევის საკითხი ცალკეა. შემდეგ პოლიტსაბჭოზე გადაწყდება და ყრილობაზეც დადგება ალტერნატივები. დღეს გადაწყდა, როდის და რა ფორმატით ჩატარდება ყრილობა. ამ პარტიას სჭირდება თავმჯდომარე და დავით ბაქრაძე საუკეთესო კანდიდატურაა.



## გიგა ბოკერია: „დავით ბაქრაძე საუკეთესო კანდიდატურაა“

ყრილობამდეც იქნება ამ საკითხზე მსჯელობა, – განაცხადა ბოკერიამ.

მის პოზიციებს არ იზიარებს ნუგზარ წიკლაური. პოლიტსაბჭოს დასრულების შემდეგ მან განაცხადა, რომ პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევა არ მოხდება.

– ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევა არ მოხდება, შესაბამისად, ეს არის მკაფიო სიგნალი ბიძინა ივანიშვილისთვის, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის მიხეილ სააკაშვილი არის უპირობო ლიდერი. პოლიტსაბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 50 ადამიანი, ერთმა თავი შეიკავა. 25/24-ის წინააღმდეგ კი იყო საბოლოო შედეგი. ამ შედეგით გაიმარჯვა ალტერნატიულმა ვარიანტმა. ყრილობა იქნება მრავალრიცხოვანი, იმ წესებით, რომელზეც ადრეც ვსაუბრობდით. პარტია არის ერთიანი და სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი ღირებულება, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

# „ნაციონალები სანამ ენტევეს შემთხვევას გაიხსენებთ, საკუთარ წარსულს დაუფიქრდით“

– სასურველი იქნებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოში გამარჯვება ისეთმა ფლანგმა შეძლოს, რომელთანაც შესაძლებელი იქნება შედეგზე ორიენტირებული მსჯელობა და არა კინკლაობა.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ წევრმა ლევან კობერიძემ გააკეთა.

კობერიძე „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებებს გამოეხმაურა და ოპოზიციონერ კოლეგებს მიმართა, რომ რუსული ენტევეს ანალოგიური პროცესები ქართულმა მედიამ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაიარა, რაც ენტევესთან შედარებით, გაცილებით უხეში ფორმებით განხორციელდა.

ამასთან, კობერიძის შეფასებით, განცხადებები, რომელიც „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით კეთდება, არის სასამართლოზე ზეწოლა.

– კარგად გვახსოვს იატაკზე დაყრილი, იარაღმიბჯენილი და შემდეგ ტყვიებდაშენილი ჟურნალისტები. ასე რომ, სანამ ენტევეს შემთხვევას გაიხსენებთ, საკუთარ წარსულს დაუფიქრდით. მედიის თავისუფლების ზღვარი „რუსთავი 2“-ის საქმეზე არანაირად არ გადის. „რუსთავი 2“-ის



საქმე, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე. ბუნებრივია, ჩვენი გუნდი ისურვებდა, რომ სასამართლო პროცესი იმდაგვარად დასრულდეს, რომ საზოგადოებას კითხვები არ დარჩეს, – განაცხადა კობერიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

კობერიძის შეფასებით, ქართულ მედიასივრცეში არის აბსოლუტურად პლურალისტური გარემო და „რუსთავი 2“-ის საქმე მთლიანად საკუთრებასთან, ქონებრივ საკითხთან დაკავშირებული თემაა.

– პირადად მე ვფიქრობ, რომ მორალური თვალსაზრისით, ეს ტელევიზია დავით დვალის, ჯარჯი აქიმიძის და ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის საკუთრება უფროა, რადგან ძალიან კარგად ვიცი მთელი ისტორია, – აღნიშნა ლევან კობერიძემ.

ინტერპრესნიუსი

# „ოცნება“ საფრთხის წინაშე დგას“

– თქვენ დგახართ საფრთხის წინაშე, გადაიქცეთ ისეთივე დეკორაციად ბიძინა ივანიშვილის რეჟიმისთვის, როგორი მორჩილი საკონსტიტუციო უმრავლესობაც ჰყავს პუტინის რუსეთს სათათბიროში, – ასე მიმართა ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობას.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას „რუსთავი 2“-ის საქმეზე ისაუბრა.

– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმე შექმნის ძალიან სერიოზულ შეშფოთებას ჩვენს ქვეყანაში მედიის პლურალიზმთან დაკავშირებით და ეს პირდაპირ აისახება ამ ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალზე. იგივე განცხადებაში ძალიან მკვეთრი შეფასება გაკეთდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიდი შეშფოთებით აკვირდება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანების ბედს.

ევროკავშირის ანგარიშში უკვე მოხვედრილია „რუსთავი 2“-ის საქმე და სწორედ დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იმყოფება ბრიუსელში, „რუსთავი 2“ იქნება ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც ევროპული მხარე დააყენებს შეხვედრებზე. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ მიერ ჩავარდნილი საგარეო პოლიტიკის შედეგად უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა კიდევ გადაიდო და კიდევ 6 თვე ჩვენ ამ საკითხზე პროგრესს ვერ მივაღწევთ, მინდა განვაცხადო, რომ ის გადაწყვეტილებები, რომელსაც დღეს ხელისუფლების კარნახით მიიღებს უზენაესი სასამართლო, პირდაპირ აისახება ამ ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომავალზე. ნუ გააძლიერებთ იმ ქვეყნების პოზიციას, რომლებიც სკეპტიკურად ეპყრობიან საქართველოს მომავალს ევროკავშირში და ნატო-ში, – განაცხადა სამადაშვილმა.



დეპუტატმა ასევე მიმართა საზოგადოებას.

– თქვენ, შეიძლება, დღეს დაბნეული ხართ იმ სასამართლო საქმის დეტალებში, რომელიც „რუსთავი 2“-ის საქმის გარეშემო მიმდინარეობს და შეიძლება ვერ ხვდებით, როგორ აისახება ეს საქმე თქვენს ცხოვრებაზე და კეთილდღეობაზე.

დღეს, როდესაც ქვეყანაში შექმნილია უმძიმესი ეკონომიკური ვითარება და ხელისუფლების პასუხი ამაზე არის ის, რომ ფაქტობრივად მიმდინარეობს საფინანსო სისტემის ჩამოშლა, თქვენ გართმევენ შესაძლებლობას, რომ მოისმინოთ სატელევიზიო განხილვა იმაზე, თუ რატომ გაუფასურდა ლარი, რატომ არ იქმნება სამუშაო ადგილები და რატომ ივსებენ ჯიბეებს ბიუროკრატები თქვენს ხარჯზე. „რუსთავი 2“-ის საქმე არ არის რიგითი საქმე, ეს განსაზღვრავს, როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებთ ხვალ, უმრავლესობიდან კოლეგებს კი მინდა შევახსენო, რომ ის, რაც დღეს ამ ქვეყანაში ხდება, ანგრევს ამ ქვეყნის დემოკრატიულ სისტემას, – განაცხადა სამადაშვილმა.

ამ კონტექსტში დეპუტატმა პარალელი გაავლო „ენტევეს“ მფლობელებისთვის ჩამორთმევაზე, რამაც მისი თქმით, რუსეთში დემოკრატიის მომავალი დაასამარა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კვირიკაშვილმა პირდაპირ გვითხრა, ლარს აღარაფერი ეშველებაო“





## რა მოსთხოვა ივანიშვილმა მთავრობას

შორენა მარსაგიშვილი

რა შედეგები მოჰყვა პრემიერის განცხადებებს, რატომ აპირებენ ბიზნესმენები საქართველოდან გაქცევას, – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– პრემიერმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომ 1 იანვრიდან ონლაინ სესხები აიკრძალებოდა. რამდენიმე საათში ეს განცხადება უარყვეს საპარლამენტო უმრავლესობამ და მინისტრებმა. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– რა ხდება და შოკში არიან. ბიძინა ივანიშვილმა დაუბარა, რაც გინდა, ის ქენით ვითარების გამოსასწორებლადო, ამიტომაც ითქვა 29 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე ამდენი სისულელე. პრემიერის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო მავნებლური. თან ყველაფერი ისე დახატა, თითქოს ამას ჩვენ გამო აკეთებს. თურმე სიგარეტს იმიტომ აძვირებენ, რომ ადამიანებმა არ მოწიონ. საწვავს იმიტომ აძვირებენ, რომ ხალხმა ფეხით იაროს.

ეს განცხადებები არის სასაცილო და მავნებლური. ამით მთავრობამ გვითხრა, რომ ლარს არაფერი აღარ ეშველება. მერე გვითხრეს, რომ მოხდება სესხების რეფინანსირება და 20 პუნქტით დაწევენ დოლარში აღებულ სესხს. ამისთვის სახელმწიფომ დამატებით რამდენიმე ათეული მილიონი უნდა დახარჯოს. იპოთეკური სესხები აქვთ მთავრობის წევრებს და მათ შორის კვირიკაშვილსაც. პრემიერს 100.000 დოლარზე მეტი ვალი აქვს.

მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ ჩაატარა კვლევა და შეისწავლა, თუ რა ოდენობის სესხი აქვთ მინისტრებს. ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, მათი სესხები ასე გამოიყურება.

დიმიტრი ქუმსიშვილს 2014 წელს იპოთეკური სესხის სახით აღებული აქვს 59. 000 ამერიკული დოლარი. 2015 წელს კი 20.000 დოლარი აქვს აღებული. გიორგი გახარიას 2015 წელს აღებული აქვს 11.370 დოლარი.

სოზარ სუბარს 2013 წელს აღებული აქვს 140.000 ამერიკული დოლარი. ალექსანდრე ჯეჯელავას 2015 წელს აღებული აქვს 46.300 ამერიკული დოლარი. მიხეილ გიორგაძეს 2013 წელს აღებული აქვს 50.000 დოლარი. ტარიელ ხეჩიკაშვილს 2014 წელს აღებული აქვს 513.000 ამერიკული დოლარი. თეა წულუკიანს 2013 წელს აღებული აქვს 39.840 ამერიკული დოლარი.

რატომ უნდა ვუხადოთ მათ ეს სესხი, არ მესმის. კეთილი ინებონ და აგვიხსნან, რატომ აკისრებენ ამ ფუნქციას ისედაც გაჭირვებაში მყოფ მოქალაქეებს. ამ განცხადებების შემდეგ ლარი კიდევ უფრო გაიქცა და მას ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

***– რატომ გგონიათ, რომ ვერ შეაჩერებენ?***

– იმის მაგივრად, რომ რაღაც ერთიანი გეგმა შეიმუშაონ, სულელურ განცხადებებს აკეთებენ. გვიმტკიცებენ, რომ ეს მოსახლეობას არ ეხება, მაგრამ ფაქტია, ყველაფერი ძვირდება. რამდენიმე კვირის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ დენის ტარიფი გაიზრდება. ეს გარდაუვალია და ამაზე რეგიონებში დაწყებული დენის გათიშვებიც მიუთითებს. წინ ძალიან „თბილი და ნათელი“ ზამთარი გველოდება.

იმის მაგივრად, რომ ინვესტიციები მოიზიდონ, ონლაინ სესხებს დაეტაკნენ. ამათ რა ჰგონიათ, თუ ადამიანი ონლაინ სესხს არ აიღებს, ეკონომიკას ეშველება? ეს არის სრული იდიოტიზმი. ამიტომაც არის, რომ მთავრობის სხდომის დასრულებისთანავე დაიწყო „ოცნებამ“ ამ სულელური განცხადების გამოსწორებაზე ზრუნვა. ახლა ამბობენ, რა აკრძალვა, რეგულირებას ვაპირებთ მხოლოდო.

***– რეგულაცია ამ საქმეს ნამდვილად სჭირდება.***

## ლევან ხაბეიშვილი: „ხელისუფლება შოკშია და გაუაზრებელ განცხადებებს აკეთებს“



– რეგულაციები საჭიროა, მაგალითად, ადამიანს სხვისი პირადობის მოწმობით არ უნდა შეეძლოს სესხის აღება. არის სხვადასხვა საშუალებები, სადაც ადამიანის სახელსა და გვარს თუ ჩაწერ, მის პირად ნომერსაც ამოგიგდებს. ასეთ რეგულაციას ყველანაირად ვეთანხმები, ონლაინ სესხების აკრძალვას კი კატეგორიულად ვეწინააღმდეგები.

სულ იმაზე მიდის ჩივილი, ინვესტორები არ შემოდიანო, პრემიერის ბოლო განცხადებების შემდეგ აქ ვინც არის, ისიც გაიქცევა. ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა, ეკონომიკა ისედაც დაქცეულია. დაიმახსოვრეთ, საქართველოში სოციალური აფეთქება გარდაუვალია.

***– რაში აწყობს ხელისუფლებას სოციალური აფეთქება?***

– არ აწყობს, მაგრამ ქვეყნის მართვის აზრზე არ არიან, იმის მაგივრად, რომ ბიზნესის განვითარებას შეუწყონ ხელი, რაც არის, იმასაც წიხლს აჭერენ. იმდენად არასერიოზულები არიან, ამბობენ, ეკონომიკა ფეხზე რომ ვერ დგას, სათამაშო ბიზნესის დაბალი გადასახადის ბრალიაო.

ჩვენ ისეთ ქვეყანაში გვიწევს ცხოვრება, რომლის პრემიერს ისიც კი არა აქვს გააზრებული, თუ რამხელა წონა აქვს მის სიტყვას. მას არც იმაზე უფიქრია, რამხელა დარტყმა მიაყენა ამ განცხადებით ბიზნესს. ისიც მინდა გავიხსენო, რომ არჩევნებამდე დოლარი 2.30 ღირდა, არჩევნების შემდეგ გახდა 2.54. ეს არის ამათი სწრაფი განვითარების გეგმა?!

დამიჯერეთ, ხელისუფლება ახლა არის შოკში და სრულიად გაუაზრებელ განცხადებებს აკეთებს. ეს ყველაფერი კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ არანაირი გათვლები და ეკონომიკური გეგმა არა აქვთ. პრემიერმა პირდაპირ ეთერში გვითხრა, ქართულ ეკონომიკას არაფერი ეშველება. ლარის დასტაბილურების გეგმა რომ იყოს, 65 მილიონს სესხების რეფინანსირებაში არ ჩადებდნენ. თავისი განცხადებით მან ლარის ინფლაციას შეუწყო ხელი.

ონლაინ სესხები არის ბიზნესი და ასე ხელაღებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის უნდა აიკრძალოს. ბოლო პერიოდში რამდენიმე ბიზნესმენთან მქონდა საუბარი. ამბობენ, რომ ერთი სული აქვთ, საქართველოდან სადმე წავიდნენ, რადგანაც არ იციან, ხვალ რას მოითხოვს მათგან ხელისუფლება.

ასე შეიძლება ხვალ პრემიერს ბუსუსებიანი პრეზერვატივები არ მოეწონოს და მისი აკრძალვა მოითხოვოს. ეს მოთხოვნა ისედაც გაჟღერებულია.

***– ამას არ აკრძალავენ, 30 ნოემბერს პარლამენტმა უკან გაიწვია ეს კანონპროექტი.***

– ეგ კი გაიწვიეს, მაგრამ, შესაძლოა, ცოტა ხანში 36 ზომა ფეხსაცმელი აკრძალონ. ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მეტსაც გეტყვით, ჩურჩხელების ზომაც კი განსაზღვრეს.

ჩვენი ორგანიზაციის წევრმა თეონა ჭალიძემ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა. თბილისში არსებულმა 10-მა გამგეობამ საახალწლოდ გამოაცხადა ტენდერი, უმწეო მოქალაქეთათვის ნობათის შეძენასთან დაკავშირებით. დიდუბის გამგეობამ ჩურჩხელის შესყიდვასთან დაკავშირებით სასაცილო პირობა წამოაყენა. ისინი ითხოვენ, რომ ჩურჩხელა იყოს მინიმუმ 30 სანტიმეტრის სიგრძის. საინტერესოა, რატომ აქცევს უწყება ამხელა მნიშვნელობას ჩურჩხელის სიგრძეს.

# პარლამენტი ბუსუსებიან პრეზერვატივებს შეეშვა

შორენა მარსაგიშვილი

## მიზანში ოკუპაციის შესახებ კანონია

საქართველოს პარლამენტში აშკარად ძალიან საინტერესო ტრადიცია იმკვიდრებს ფეხს. მთავრობის დამტკიცების შემდეგ დეპუტატები პრეზერვატივებზე იწყებენ მსჯელობას. წინა მოწვევის პარლამენტში შესული პირველი საკანონმდებლო ინიციატივა ბუსუსებიანი პრეზერვატივების აკრძალვას ეხებოდა.

მართალია, ერმა ამ თემაზე ფრიად იხალისა, სამაგიეროდ, დეპუტატები შეუდგნენ საკითხის სერიოზულ განხილვას, ამის გამო მთელი 4 წლის მანძილზე ნაციონალები „ოცნების“ წევრებს ბუსუსებიანებს ეძახდნენ.

ამ ტვირთის ტარება, როგორც ჩანს, მეოცნებეებს ძალიან გაუჭირდათ. გუშინ, 30 ნოემბერს, ცნობილი გახდა, რომ სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ კანონპროექტს პარლამენტი აღარ განიხილავს. ამ კანონპროექტს ერი ბუსუსებიანი პრეზერვატივების კანონის სახელით იცნობს.

სკანდალური პროექტი სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვების დაწესებასა და რიგ სავაჭრო ობიექტებსა და დაწესებულებებთან მისი გაყიდვაზე ადმინისტრაციული სანქციის შემოღებას ითვალისწინებდა.

ბუსუსებიან პრეზერვატივებთან განშორებული პარლამენტი „ოკუპაციის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანას აპირებს. ამის გაკეთებას „ოცნება“ 2013 წლიდან ცდილობს, მაგრამ ამაში ნაციონალებმა შეუშალეს. ახლა „ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობაშია და საკითხს უპრობლემოდ გაიტანს. მათ ამ ამბავში მხარს პატრიოტთა ალიანსიც უჭერს.

ამ ცვლილებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნაციონალური მოძრაობა.

30 ნოემბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე ამ თემაზე საგანგებო განცხადება პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ელენე ხოშტარიამ გააკეთა.

ის კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ცვლილებების შეტანას ევროკავშირი ითხოვს. ელენე ხოშტარიას განცხადებით, ეს მოთხოვნა უშუალოდ რუსეთიდან მოდის.

დეპუტატი კოლეგებს ახსენებს რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

ის ფიქრობს, რომ ხელისუფლებას ჯერ ამ კანონის შეცვლა სურს, შემდეგ კი ტერმინ „ოკუპაციის“ გაუქმება.

ამ კანონში ცვლილებების შეტანის ჟინით შეპყრობილებს ხოშტარიამ ჩაუზუსტა, თუ რატომ არის ოკუპაციის რეჟიმის, როგორც ტერმინის, დამკვიდრება მნიშვნელოვანი.

– ეს არის მძლავრი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ რუსეთმა ვერ შექმნას მართლაც ახალი რეალობა და ის ე.წ. საზღვარი პრაქტიკაში არ აქციოს რეალურ საზღვრად. ეს არის არა რაიმე თეორიული, აბსტრაქტული საკითხი, არამედ პრაქტიკაში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ძალიან მძლავრი ინსტრუმენტი. ასევე, ეს არის ძალიან სერიოზული საერთაშორისო სამართლებრივი ბერკეტი.



ძალიან ვიმუშავეთ, რომ ეს სახელი დარქმეოდა იმ კონფლიქტს, რომელიც გვქონდა რუსეთთან. ეს გვეხმარება, რომ საერთაშორისო საზოგადოება მუდმივად იყოს ჩართული ამ პროცესში და რუსეთზე იყოს მუდმივი ზეწოლა ამის გამო. სამომავლოდ ამ კონფლიქტის გადაჭრა ამ ტერმინის და საოკუპაციო რეჟიმის გარეშე იქნება აბსოლუტურად წარმოუდგენელი, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

# გიორგი გაბაშვილი: „სააკაშვილისგან არანაირ გამიჯვნაზე ლაპარაკი არ არის“



– მიხეილ სააკაშვილისგან არანაირ გამიჯვნაზე ლაპარაკი არ არის, ლაპარაკია იმაზე, რომ პარტია გადაწყვეტილებებს იღებდეს კამათისა და დისკუსიის შედეგად.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა განუცხადა.

– ეს არ არის არავისთან ხიდების დაწვა და პიროვნული კონფლიქტი, – აღნიშნა გაბაშვილმა. მისივე თქმით, ძალიან დიდი შეცდომა იქნება, თუკი პარტიის ნაწილი პოლიტსაბჭოს ბოიკოტს გამოუცხადებს.

– ყრილობა არის საჭირო იმისთვის, რომ ყრილობამ უთანხმოებებს წერტილი დაუსვას, განვითარების გზა განსაზღვროს. არის ორი წესი. მე პირადად მხარს ვუჭერ 2.000-კაციან ყრილობას. ეს უფრო სამუშაო და ნორმალური დისკუსიისთვის მისაღები ფორმატია. არის განსხვავებული მოსაზრება უფრო მრავალრიცხოვანი ყრილობის შესახებ. მთავარია, ყრილობა იყოს წარმომადგენლობითი. მე მხარს ვუჭერ იმ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ყრილობამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე. პარტია უნდა იყოს გამართული ფუნქციონირებაში, – განაცხადა გაბაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თენგიზ დიხამინჯია: „კონფედერაცია სოხუმთან და ცხინვალთან ჩვენთვის მიუღებელია“

გულიკო ბალაძე

კონფედერაციის შესახებ რუსეთის დუმის კომიტეტის თავმჯდომარის შემოთავაზება საქართველოსთვის მიუღებელია, რადგან კონფედერაცია ახალ პრობლემებს წარმოშობს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ექსპერტი თენგიზ დიხამინჯია.

– დღეს რუსეთის ერთ-ერთი ამოცანაა, მოეხსნას ევროპისა და ამერიკის სანქციები. შემდეგ სირიისა და უკრაინის ფაქტორებიდან გამომდინარე, კავკასიის რეგიონზეც მოიპოვებს გავლენას. მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მშვიდობისმყოფელის ფუნქცია დაიბრუნოს. ამიტომ ამ თვალსაზრისით ყველაფერს აკეთებს აღნიშნული მიმართულებით, – ამბობს თენგიზ დიხამინჯია.

***– საქართველოსთან ურთიერთობის დათბობით?***

– საქართველოსთან ურთიერთობის დათბობის თვალსაზრისით, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ცნობითა და შემდგომში პარტნიორული ურთიერთობებით კი არა, მშვიდობისმყოფელად თავის მოჩვენებით უნდათ მოეხსნათ სანქციები. უნდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპანტის სტატუსი უკან წამოიღოს. როცა ეს გაკეთდება, მიმართავს ევროპას. ზუსტად ამ ჭრილში ჯდება კონფედერაციის შემოთავაზება და სტატუსი.

***– საქართველოსთვის ამგვარი შეთავაზებებითა და ურთიერთობების მოჩვენებითად დათბობით სანქციებს ვინ მოუხსნის? რუსეთისთვის სანქციები საქართველოს გამო არ დაუწესებიათ.***

– რუსეთს სანქციები უკრაინის გამო დაუწესეს, მაგრამ თუ საქართველოსთან ურთიერთობის მოჩვენებითი დათბობით რეგიონული პრობლემა ამოვარდება, ამ თვალსაზრისით დაბრკოლება არ ექნება ვაჭრობისას, ამერიკასა და ევროპასთან მოლაპარაკებებს ხელს შეუწყობს.



როგორც კი კონფედერაციის სტატუსს შემოიტანს, რუსეთი მომენტალურად თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. როგორც კი ამ რეგიონში მართვის ბერკეტებს ჩაიგდებს ხელში, იურიდიულად და სამართლებრივად შენ ამას ხელს შეუწყობ, კონფედერაციულ მომენტს შემდგომ გარდასახავს თავის სასარგებლოდ – ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს მიანიჭებს იმ სტატუსს, რომელიც მას სჭირდება – ან შეიერთებს, ან დამოუკიდებლად აღიარებს.

***– ანუ, თუკი ჩვენ მოვილაპარაკებთ რუსეთთან კონფედერაციის მოდელზე, შეიძლება თავიდან დაგვთანხმდეს ამაზე, მაგრამ შემდეგ ეს საკითხი სულ სხვა რეგისტრში გადაიყვანოს?***

– შემდეგ რუსეთი თავის სასარგებლოდ ითამაშებს, რადგან სანქციები და ზეწოლა არ ექნება. თანაც თუ საქართველო ნებაყოფლობით დათანხმდება კონფედერაციას, ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კონფედერაციის სუბიექტები გახდებიან, რომლებსაც, საერთაშორისო სამართლის თანახმად, თვითგამორკვევის უფლება ექნებათ. ისტორიული, კანონზომიერი და მთელი რიგი ფაქტორები უკვე მეორე პლანზე გადადის.

***– ამიტომ ამ საკითხზე რუსეთთან არც უნდა დავილაპარაკოთ.***

– ცხადია. გარდა ამ პრობლემისა, კონფედერაციული მოდელის შემოტანა ნიშნავს ადმინისტრაციული ერთეულების, ასე ვთქვათ, სხვა სუბიექტების საკითხის გადახედვას. აქ უკვე არ მინდა ბრჭყალები გავხსნა, მთელი რიგი ახალი სიძნელეები წარმოიშობა ვითარების მიხედვით. ეს არის სახალხო რეფერენდუმისა და კონსტიტუციური კონგრესის თუ ფართო კონსტიტუციური განხილვის თემა და არა – მმართველი ძალის გადასაწყვეტი რიგითი საკითხი.

***– ეს მაშინ, თუ საქართველო გადაწყვეტს, რომ კონფედერაციის მოდელზე იმსჯელოს.***

– რა თქმა უნდა.

***– თუ კონფედერაციული მოწყობის სიღრმეებში ჩავალთ, ეს ქვეყნის დაშლისკენ მიმავალი გზა არ არის?***

– რა თქმა უნდა, პირდაპირ. ამას მოჰყვება სხვა პრობლემები. კონფედერაციული მოდელი არის უდიდესი საფრთხე ქვეყნისთვის. ყველაზე შემაშფოთებელი კიდევ ის არის, რომ ყველა განცხადებაში, სატელევიზიო გადაცემებში, როდესაც კონგრესმენები მონაწილეობენ (ამას რუსული არხები აჩვენებენ) და პარლამენტის ყოფილი თუ ახლანდელი წევრები ერთვებიან, თითქმის ყველა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას სამაჩაბლოდ კი არ იხსენიებს, არამედ „სამხრეთ ოსეთად“. ეს არის წინა ხელისუფლების ბრალი.

***– ამ ტერმინის ხსენებას იმიტომ აღარ ერიდებიან, რომ სააკაშვილმა ის დააკანონა.***

– მომდევნო ხელისუფლება იმისთვის არის, რომ წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები გააუქმოს და არა მოირგოს და მიაფუჩეჩოს.

***– ანუ დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა გააუქმოს სააკაშვილის მიერ შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაცია?***

– დიახ, ეს საკითხი გადახედვას საჭიროებს. მთელი რიგი კონსტიტუციური დარღვევები, რომლებიც დაუშვა ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ხელისუფლებამ, უნდა გასწორდეს. აღნიშნული დარღვევები დღევანდელმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ სააკაშვილის სამართლებრივი სისტემის დემონტაჟი ვერ მოახდინა, რაზეც ის პასუხისმგებელია.

***– სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის გაუქმება რაიმე უარყოფით შედეგებს ხომ არ გამოიწვევს?***

– უნდა თქვა, რომ ეს არის თავსმოხვეული სამართლებრივი სისტემა და მოახდინო მისი დემონტაჟი.

***– იტყვიან, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ნდობის აღდგენას არ შეუწყობს ხელს.***

– არ არსებობს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე. ნებისმიერ სისტემას ახლავს კონტრწინადადებები. ამან არ უნდა შეგვზღუდოს.

***– ეს შეიძლება გაკეთდეს კონსტიტუციის შეცვლის პროცესში. მგონი, სააკაშვილ-ბურჯანაძის პერიოდში მიღებული დადგენილებით (რომლითაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია) ახდენენ ახლა ოსები და რუსები ე.წ. საზღვრების დადგენას.***

– დიახ, ამ დადგენილებით რუსებსა ოსებს კოზირი მისცეს ხელში. ეს არის თავსმოხვეული სამართლებრივი სისტემა და უნდა გაუქმდეს.

***– პარლამენტში „ოკუპაციის შესახებ კანონში“ ცვლილების საკითხი დადგა. ამასთან დაკავშირებით რა აზრის ხართ?***

– მე ვიცი იმ მღვდელმთავრების პრობლემა, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში იმყოფებიან. მათ აქეთ გადმოსვლის შემთხვევაში უკან დაბრუნების პრობლემა აქვთ. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ვიზალიბერალიზაციას საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოუთმენლად ელის“

– ვიზალიბერალიზაციას მოუთმენლად ელის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, როგორც წარმოუდგენლად დიდი ტრანსფორმაციისა და წახალისების ეფექტის მქონე მოვლენას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა ევროპარლამენტის პრეზიდენტს „ძალიან ღია და გულახდილი დიალოგისთვის მადლობა გადაუხადა“.

– აქვე მინდა ხაზი გავუსვა პრეზიდენტ შულცის პირად წვლილს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში. მინდა, მადლობა ვუთხრა ცოტა ხნის წინ საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გამოგზავნისთვის. ყველა საერთაშორისო დამკვირვებლის დასკვნის თანახმად, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა თავისუფალ და პლურალისტულ გარემოში. ამ არჩევნების შედეგად საქართველომ კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა და დაამტკიცა, რომ ის ჩამოყალიბებული დემოკრატიაა, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ევროკავშირის უზარმაზარი მხარდაჭერის შედეგად, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დემოკრატიის კონსოლიდაციის, კანონის უზენაესობის და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების კუთხით.

– ჩვენს დღის წესრიგში, რომელიც 2017-2020 წლებს მოიცავს, კანონის უზენაესობის გაძლიერება და ინსტიტუციური სტანდარტების გაუმჯობესება მათი ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

ეს ძირითადი ღირებულებები უდევს საფუძვლად საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ, ძალიან ამბიციურ პარტნიორობას – სწორედ ამ მიზანს ვიცავთ და ვემსახურებით, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროპარლამენტის შემდგომი ჩართულობა ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია რეფორმების წახალისებისთვის.

– ამ თვალსაზრისით, მინდა გავუსვა ხაზი სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მნიშვნელობას და მადლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტ შულცს ძალიან გულახდილი დიალოგისთვის. ამ შედეგს (სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას) მოუთმენლად ელის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, როგორც წარმოუდგენლად დიდი ტრანსფორმაციისა და წახალისების ეფექტის მქონე მოვლენას. ის საშუალებას მოგვცემს უფრო მოტივირებულად განვაგრძოთ საქართველოს რეფორმების დღის წესრიგის იმპლემენტაცია.

იმედი გვაქვს, რომ შიდა პროცესები ბრიუსელში მალე მოიტანს სასურველ შედეგს და ქართველი მოსახლეობის მოლოდინი გამართლდება და მოქალაქეებისათვის ხელშესახები ბენეფიტი იქნება.

ევროპარლამენტის აქტიურმა ჩართულობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი მოტივაცია და იმედს ვიტოვებთ, რომ ევროპარლამენტი კვლავ განაგრძობს ჩვენს მხარდაჭერას და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მაქსიმალურად მოკლე დროში დასრულდება, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, უსაფრთხოება ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. „ჩვენ ვაფასებთ ევროპარლამენტის ხმამაღალ და გამბედავ განცხადებებს საქართველოს ტერიტორიის რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ამით გამოწვეულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ირგვლივ.

დასკვნის სახით, მინდა, ევროპარლამენტს კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს ევროპული სულისკვეთების მხარდაჭერისთვის და ჩემი მადლიერება გამოვხატო პრეზიდენტ შულცის მიმართ საქართველოს ევროპული მომავლის მშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი თანამდებობისთვის აკრძალულ საქმიანობას ეწეოდა

სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ზურაბ გამეზარდაშვილი, რომელიც იმავდროულად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც იყო, თანამდებობაზე მუშაობისას კანონის მოთხოვნას არღვევდა, რადგან აქტიურ სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა და კომერციული საწარმოს ხელმძღვანელის პოზიციაც ეკავა.

კანონის თანახმად, მინისტრის მოადგილეს უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას ან იყოს რომელიმე საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.

ზურაბ გამეზარდაშვილი სასაზღვრო პოლიციის უფროსად 2013 წლის 22 ნოემბერს დაინიშნა, 2015 წლის აგვისტოდან კი, ამავე თანამდებობრივი სტატუსით, პარალელურად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც გახდა. ოფიციალური ინფორმაციით, ეს თანამდებობა მან მიმდინარე წლის 18 ნოემბერს საკუთარი სურვილით დატოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში ზურაბ გამეზარდაშვილს შს სამინისტროს სისტემაში ეკავა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობრივი პოზიციები.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მინისტრის მოადგილეებს უფლება არა აქვთ შედიოდნენ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოებში, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შესაძლოა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

საჯარო სამსახურის ბიუროში



2013-2015 წლებში წარდგენილ ქონებრივ დეკლარაციებში ზურაბ გამეზარდაშვილი მიუთითებს, რომ იგი სამეწარმეო საქმიანობას საერთოდ არ ახორციელებს.

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა დაადგინა, რომ დეკლარაციაში აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, არაუგვიანეს 2012 წლის 24 დეკემბრიდან მაინც, ზურაბ გამეზარდაშვილი არის შპს „მირამედი XXI“-ის პარტნიორი და ფლობს საწარმოს კაპიტალის 10 %-ს, ხოლო 2016 წლის 24 მაისიდან იგი გახდა ამავე კომპანიის მმართველობითი ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, რითაც დაიკავა საჯარო თანამდებობასთან შეუთავსებელი პოზიცია კერძო სექტორში.

შესაბამისად, მინისტრის ყოფილი მოადგილე ასევე არღვევდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებსაც, რომლის თანახმადაც თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ინფორმაცია სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობას, საწარმოს სრულ საფირმო სახელწოდებას, მონაწილეობის ფორმას, საწარმოს მარეგისტრირებელ ორგანოს და რეგისტრაციის თარიღს, საწარმოს იურიდიულ მისამართს, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთს და საანგარიშო პერიოდში ამ საქმიანობით მიღებულ შემოსავალს (მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, ქონებრივ დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანა დანაშაულად ითვლება და სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 120-დან 200 საათამდე, ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ვადით 3 წლამდე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყებოდა, რომ ზურაბ გამეზარდაშვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის მეგობარია და 1990-იან წლებში, ანუ როცა თამაზაშვილი კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი იყო, იგი საგზაო პოლიციაში „ტრასის უფროსად“ მუშაობდა.

ასევე კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია ზურაბ გამეზარდაშვილის მიერ ეთნიკური ქისტების მიმართ განხორციელებული მუქარის შესახებ. „ჭკვიანად თუ არ იქნებით, ხეობიდან აგყრით“, – ასე მიმართა შს სამინისტროს მაღალჩინოსანმა პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრებსა და ფუნდამენტური ისლამის წარმომადგენლებს 2013 წლის ბოლოს კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში გამართულ შეხვედრაზე.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# გუბაზ სანიკიძე „დემოკრატიულ მოძრაობას“ შეუერთდა

„ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრი გუბაზ სანიკიძე ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობას“ შეუერთდა.

როგორც მისი წარდგენისას პარტიის ლიდერმა განაცხადა, გუბაზ სანიკიძის გუნდში ყოფნა იქნება მნიშვნელოვანი გარდატეხის შემომტანი პოლიტიკურ პროცესებში.

– გუბაზ სანიკიძე არის ადამიანი, რომლისთვისაც უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის საქართველო, არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყნის ერთიანობა და ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი. ეს არის ყველაზე მთავარი კრიტერიუმი ჩემთვის პოლიტიკოსის შეფასებებში, როდესაც ადამიანისთვის უპირველესი არის სამშობლო და ქვეყნის ინტერესები, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.

თავად სანიკიძე განმარტავს, რომ ის პოლიტიკური მიმართულება, რომელიც „დემოკრატიულ მოძრაობას“ აქვს არჩეული, საჭიროებს კიდევ უფრო გააქტიურებას.

– ბოლოდროინდელი მსოფლიო პროცესები გვარწმუნებს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს ყველა მიმართულებით საგარეო ურთიერთობები, დღეს საქართველოს სჭირდება ძალიან სერიოზული საგარეო პოლიტიკა. არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ საგარეო პოლიტიკა დღეს ქვეყანაში გაჩერებულია, საგარეო პოლიტიკა აღარ ითვლება პრიორიტეტად. ქვეყანას აქვს უსუსტესი დიპლომატია. საერთოდ ხსენება აღარ არის ტერიტორიული მთლიანობის როგორც ხელისუფლების მხრიდან, ასევე მედიის მხრიდანაც. მიმაჩნია, რომ არსებობს საფრთხე იმისა, რომ საქართველოს საბოლოოდ ათქმევინონ უარი ტერიტორიულ მთლიანობაზე, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე მივიღე ეს გადაწყვეტილება, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

**ნიუსპრესი**

# გია ხუხაშვილი: „მხოლოდ ინდაური გადაგვარჩენს“

## „მთავრობას მომავლის ეშინია“

ნონა ცაბაძე



– მთავრობის ინიციატივები ეკონომიკურ პოლიტიკაში ძალიან ეკლექტურია, წინააღმდეგობრივია და ძალიან ჰგავს შეშინებული ადამიანის ისტერიულ მოქმედებებს, რადგან ურთიერთსაპირისპირო ნაბიჯებს დგამენ ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი გია ხუხაშვილი.

***– რაში გამოიხატება მთავრობის ურთიერთსაპირისპირო ნაბიჯები? რას იტყვით ახალი ინიციატივების შესახებ?***

– მათი ინიციატივები თუ რამეს წყვეტს დღეს, წყვეტს მხოლოდ გადაგორების რეჟიმში და არ ატარებს ეკონომიკის სისტემური გაჯანსაღების ხასიათს. იგივე მთავარი დაანონსებული ქმედება, რასაც ჰქვია რეინვესტირების ფარგლებში მოგების გადასახადის გაუქმება. ის, რისი მიზანიც იყო ეკონომიკაში ფულის ჩატოვება იმისთვის, რომ ეკონომიკური აქტიობისთვის სტიმული მიეცათ, იქვე იქნა განულებული აქციზების ზრდით. ფაქტობრივად, რა თანხაც პირველი ინიციატივით ეკონომიკაში უნდა ჩაეტოვებინათ, მეორე ხელით ისევ უკან ამოიღეს ეკონომიკიდან.

***– რას იტყვით საწვავზე აქციზების ზრდის შესახებ?***

– საწვავზე აქციზების ზრდა კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას სამომხმარებლო კალათის კუთხით, იმიტომ, რომ გარდაუვალი გაძვირების წინაშე დადგება, განსაკუთრებით იაფფასიანი პროდუქტი, რომლის ფასწარმოქმნაში ტრანსპორტირება სერიოზულ როლს თამაშობს. თითქოს რაღაცის კარგის გაკეთება უნდათ და საბოლოო ჯამში ეშინიათ ამ კარგის. ეშინიათ პასუხისმგებლობის აღების და მსგავსი ქმედებებით ისევ ანულებენ ამ ინიციატივებს.

***– რატომ არიან შეშინებულები, რისი ბრალია ეს, არაკომპეტენტურობის?***

– მე ვფიქრობ, რომ აქ მთავარი ფაქტორი არის შიში. არაკომპეტენტურობის პრობლემა არა მგონია, რომ კვირიკაშვილს ჰქონდეს. უბრალოდ, მასშტაბური, სისტემური რეფორმის გატარების რესურსი არ არის მთავრობაში, მათ ეშინიათ თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების და ამიტომ წინ და უკან სირბილით არიან დაკავებულები.

***– ანუ თქვენ არ მოგწონთ მთავრობის ახალი ინიციატივები?***

– ერთ დღეს ეკონომიკის ექსპერტმა ეს ინიციატივები გაახმოვანა და მეორე დღეს მთავრობამ სამოქმედო პროგრამად მიიღო. ეს რას ნიშნავს?! ეს ნიშნავს, რომ მთავრობას საერთოდ არანაირი გეგმა არ ჰქონდა და ელოდებოდა ვიღაც ექსპერტის საჯარო განცხადებას, რომ მისი ნააზრევი სამოქმედო გეგმად აელო, თუ რა ხდება საერთოდ?! ერთ სოციალურ რისკს რომ აზღვევენ და იქვე წარმოშობენ მეორე სოციალურ რისკს, ამას უარესი შედეგი ხომ არ მოჰყვება? მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამის ანალიტიკა საერთოდ არ კეთდება! ძალიან წინააღმდეგობრივი და ეკლექტურია ეს ყველაფერი. ამ ყველაფერში წამყვანი ემოცია არის შიში.

***– რისი ეშინიათ?***

– მომავლის! როცა მთავრობას მომავლის შიში აქვს, რა მდგომარეობაშია ამ დროს ქვეყნის მოსახლეობა, რომელსაც ეს ემოცია გაათკეცებულად უყალიბდება მთელი ამ პროცესის შემხედვარეს.

***– ონლაინ-სესხების აკრძალვის შესახებ რას იტყვით? ბევრმა მოიწონა პრემიერის ეს ინიციატივა.***

– ონლაინ-სესხების რეგულაციების გამკაცრება ამ ეტაპზე არის გარდაუვალი აუცილებლობა ერთი მარტივი მიზეზის გამო. ერთი მხრივ, თითქოს შეზღუდვები ამ ბაზარზე არ უნდა იყოს, რადგან სესხები ნებაყოფლობითია, მაგრამ დღეს ჩვენ გვაქვს მდგომარეობა, როდესაც სასიცოცხლო ჩვენების პირისპირ დგებიან ადამიანები და მზად არიან, გადადგან არაადეკვატური ნაბიჯი. ანუ აიღონ ახალი ვალდებულებები ძველის გადასაფარად, რითაც კიდევ უფრო მძიმდება მათი სოციალური მდგომარეობა.

**ჯობდა, ლარის გასამყარებლად პირდაპირ ვიაგრა შემოეთავაზებინათ ამ ადამიანებს, ბევრად უფრო ადეკვატურები იქნებოდნენ, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობენ**

აქ ძალიან ბევრი საეჭვო მოთამაშე გამოჩნდა, რომელიც ფანტასტიკური პროცენტებით ადამიანის მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

***– შესაძლებელია, წინა პლანზე წამოიწიოს მევახშეობამ და იატაკქვეშა პროცესებმა, რაც სურათს კიდევ უფრო დაამძიმებს. ამ შეფასებებს თუ იზიარებთ?***

– რა თქმა უნდა, როდესაც შენ ლეგალურ ბაზარზე რაღაც შეზღუდვებს აწესებ, ეს სეგმენტი ცდილობს, რომ გადავიდეს ჩრდილში. ეს უკვე სხვა სახის პრობლემაა, რამდენად შეძლებს ხელისუფლება შემდგომში ამ რისკების დაზღვევას, თავისი სამართალდამცავი სისტემით თუ ასე შემდეგ, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

***– ასევე გაჟღერდა ინიციატივა, რომ უცხოური ვალუტით გაცემული სესხები ლარში გადავა. ამის თაობაზე რას იტყვით?***

– ესეც ძალიან გაუგებარი და ნედლი ინიციატივაა.

***– რა თვალსაზრისით?***

– მე ვფიქრობ, რომ ბოლომდე თვითონაც არ აქვთ გააზრებული. პირველი ის, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც ეს გადაზღვევა მოხდება, ანუ შეღავათის მიცემა, რა კურსი იქნება? და მინუს 20 პუნქტი წყვეტს თუ არა ამ პრობლემებს. გარდა ამისა, ლარში რომ გადაიყვანენ ამ კრედიტს, რა იქნება საპროცენტო განაკვეთი, იმიტომ, რომ ეს უკვე ბანკის რისკზე გადადის. ასე რომ, ეს ინიციატივაც ბოლომდე არ აქვთ დათვლილი და გაანალიზებული. მეჩვენება, რომ ესეც სპონტანურად გააჟღერეს, ისე, რომ ბოლომდე შესაბამისი მექანიზმები ჩართული არ არის.

ანუ მთლიანობაში რომ ავიღოთ ის, რაც დაახვავა ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში, ძალიან წინააღმდეგობრივი, ეკლექტური გადაწყვეტილებებია და ჩემთვის გაუგებარია, შედეგად რას ვიღებთ. პრობლემას ვერ ვწყვეტთ გრძელვადიანად, ცოტა ხნით შეიძლება გადავაგოროთ და მერე რა იქნება? ამაზე მეუბნება ხელისუფლება რამეს?!

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს არის ისტერიკაში მყოფი მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები?***

– დიახ, ასეა. მე აღარაფერს ვამბობ მთავრობაზე. აბსოლუტურად არაადეკვატური კომენტარები კეთდებოდა ბოლო პერიოდში, რომ თურმე ათასი დოლარით მეტ ლარს იყიდი, იქ რაღაც დედოლარიზაციაზე ლაპარაკობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ, რაზე ლაპარაკობენ. ჯობდა, ლარის გასამყარებლად პირდაპირ ვიაგრა შემოეთავაზებინათ ამ ადამიანებს, ბევრად უფრო ადეკვატურები იქნებოდნენ, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობენ. წარმოუდგენელი რაღაც ხდება, სრული ქაოსია.

***– რატომ გაექცათ ასე ლარი? რა შეაჩერებს ამ პროცესს?***

– ლარის გაქცევა არ არის ამ ხელისუფლების პრობლემა. ზოგადად ლარი არასოდეს ყოფილა ეკონომიკაზე მიბმული. მოთხოვნა-მიწოდება საქართველოში ყოველთვის იყო დეფიციტური. დოლარზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე მიწოდება შეუძლიათ. ჩვენ ვართ მომხმარებელი ქვეყანა, იმპორტზე დამოკიდებული. ბუნებრივია, იმპორტი დოლარში ხორციელდება და ამას ვერ აბალანსებს შესაბამისი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.

***– სააკაშვილის დროს როგორ ხერხდებოდა ამის დაბალანსება?***

– სააკაშვილის დროს ხერხდებოდა ამის გადაფარვა ვირტუალური კეთილდღეობის სურათით და ხშირ შემთხვევაში დონორებიდან შემოსული უზარმაზარი თანხებით და ადმინისტრაციული მეთოდებით. დღევანდელ ხელისუფლებას ეს წყაროები აღარ აქვს. შესაბამისად, ვითარება დამძიმდა.

სააკაშვილის შემდეგ ვითარება არ შეცვლილა, ეკონომიკური პოლიტიკა იგივეა, უბრალოდ, დღეს დამძიმდა იმიტომ, რომ ის სუბიექტური მომენტები, რაც სააკაშვილს ეჭირა, დღევანდელ ხელისუფლებას აღარ აქვს. ამის გამო მივიღეთ ის სურათი, რაც მივიღეთ. უნდა გადაიჭრას დასაქმების პრობლემა, შიდა ეკონომიკური ბაზარი უნდა გავაჯეროთ საკუთარი პროდუქციით და მივცეთ ქართულ ეკონომიკას საექსპორტო პოტენციალის განვითარების საფუძველი.

***– ეს ალბათ გრძელვადიანი პროცესია.***

– გრძელვადიანია, მაგრამ არ არსებობს მოკლევადიანი. მოკლევადიანი გადაგორებაა. ვაკეთოთ ეს მოკლევადიანი, მაგრამ გრძელვადიანი პოლიტიკა ხომ უნდა დავიწყოთ როდისმე?! არ უნდათ დაწყება, ამაზე საერთოდ ხმას არ იღებენ. ან არ უნდათ, ან ეშინიათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების.

***– რა იქნება ამ კრიზისის პერიოდში? როგორია თქვენი მოლოდინი?***

– ინდაურის ეკონომიკას ვეძახი ამ სიტუაციას. საახალწლოდ ინდაურებს ვიყიდით ბოლო 100 დოლარით, ამით ცოტა შვება მიეცემა ლარს. 15 იანვრამდე შევჭამთ ამ ინდაურებს და მერე ისევ დაიწყება ეს ბაკქანალია. ერთი თვე, 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე, გადაგვარჩენს ინდაური! ხელისუფლების ინიციატივები კი არა, ინდაური გადაგვარჩენს. ინდაური დღეს ბევრად უფრო სერიოზული ფაქტორია, ვიდრე ხელისუფლების მთელი ეს ეკონომიკური პოლიტიკა, სამწუხაროდ!

# საქართველოს ნატოში სხვა ქვეყნებთან ერთად მიიღებენ?

## რუსეთმა, შესაძლოა, აფხაზეთში რკინიგზის ამუშავებაც მოინდომოს

მარიამ მჭედლიშვილი





დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ ექსპერტებიც ვერ გარკვეულან, გაატარებს თუ არა ვაშინგტონი რუსეთის მიმართ ბრიუსელთან შეთანხმებულ პოლიტიკას. ამაზე დიდადაა დამოკიდებული სიტუაცია საქართველოსა და უკრაინაში.

აშშ-ის ახლანდელმა კონგრესმა გამოხატა მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. ორივე პალატის კომიტეტებმა შეათანხმეს მომავალი წლის ბიუჯეტი თავდაცვის სფეროში. კონგრესმენებმა მხარი დაუჭირეს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების სახით 350 მილიონი დოლარის გამოყოფას.

ეს ხდება იმ ფონზე, როცა უკრაინის საზღვართან მობილიზებულია 5,5 ათასი რუსეთის სამხედრო. ყირიმში მათი რიცხვი 23 ათასია.

სამხედროების მობილიზაციას და სამხედრო ბაზების გაძლიერებას რუსეთი სამხრეთ კავკასიაშიც აგრძელებს. ამ მოქმედებების შედეგად მოსალოდნელია გალის ქართული მოსახლეობის გადაადგილების და საქმიანობის შეზღუდვა. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ამოქმედებაც მოინდომოს. საქართველოს ხელისუფლების ოპონენტების აზრით, „ქართული ოცნება“ ამაზე რუსეთს ადეკვატურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს.

ამ ვითარებაში ისევ გააქტიურდა უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების თემა. ქართული მხარე საქართველოს ნატოში შემდგომ ინტეგრაციას სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად ელის, უკრაინელი ექსპერტები კი რამდენიმე სახელმწიფოს ერთად გაწევრიანებაზე ალაპარაკდნენ.

– ნატოში უკრაინა შევა ერთიან პაკეტში მოლდოვასა და საქართველოსთან ერთად, – აცხადებს უკრაინელი ანალიტიკოსი ოლეგ პონომარი.

მას ამის იმედს უსახავს ნატო-უკრაინის ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის შექმნა.

– თუ უკრაინა ნეიტრალიტეტს მოინდომებს, ის დაკარგავს სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას. არის კიდევ ერთი, უფრო რბილი ვარიანტი – უკრაინა რუსეთის კონტროლქვეშ ფორმალურად დამოუკიდებელი იქნება. ეს უკრაინას არ სჭირდება. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი ნატოში შესვლაა, – ამბობს ექსპერტი.

საქართველოს ნატოში შესვლის მხარდაჭერის მიმართ ყოველთვის ფრთხილი დამოკიდებულება ჰქონდათ გერმანიასა და საფრანგეთს. ამ მხრივ სიტუაცია შეიძლება უფრო გართულდეს.

უცხოური მედიის სიტყვებით, საფრანგეთის პრეზიდენტობის რეალური შანსი აქვს ფრანსუა ფიიონს, რომელსაც ბევრჯერ გამოუხატავს კრემლისთვის ხელსაყრელი პოზიციები. კერძოდ, ის რუსეთისთვის სანქციების მოხსნის მომხრეა. ფიიონი მხარს უჭერს რუსეთს სირიის კონფლიქტის გადაჭრასა და ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ფრანსუა ფიიონი მიიჩნევს, რომ კონფლიქტზე აღმოსავლეთ უკრაინაში ნაწილობრივ პასუხს აგებს კიევიც.

კრემლის მიმართ ამჟამად მკაცრი პოლიტიკის გამტარებელია გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელსაც მოსკოვი შეებრძოლება. გერმანიის სადაზვერვო სამსახურის პრეზიდენტმა ბრუნო კალმა გააფრთხილა გერმანიის ხელისუფლება, რომ არჩევნების დროს რუსეთიდან მოსალოდნელია ჰაკერული თავდასხმები არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით.

ექსპერტების აზრით, გერმანია იქნება რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი შეანელებს გავლენისთვის ბრძოლას სხვა სახელმწიფოებსა და რეგიონებში. რბილი ძალის პარალელურად, რუსეთი გამოიყენებს ძალას.

ერთ-ერთი ასეთი რეგიონი სამხრეთი კავკასიაა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პარლამენტის 4 წევრს უფლებამოსილება შეუწყდა

საკანონმდებლო ორგანოში 20016 წლის არჩევნების შედეგად მოხვედრილ 4 დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდა.

გადაწყვეტილება პარლამენტში მიმდინარე პლენარულ სხდომაზე მიიღეს.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატს სანდრა ელისაბედ რულოვსს.

როგორც დადგენილების პროექტის წარდგენისას პარლამენტის, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი კახიანმა აღნიშნა, სანდრა რულოვსს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა. მან არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, სიით პარლამენტში შესვლაზე კი უარი განაცხადა.

ასევე, პარლამენტის წევრის სტატუსი შეუწყდა „ქართული ოცნების“ 3 დეპუტატს გიორგი კვირიკაშვილს, კახი კალაძეს და გიორგი გახარიას, ვინაიდან სამივე მათგანი აღმასრულებელ ხელისუფლებაში განაგრძობენ მუშაობას.

ნიუსპრესი

# ოთარ ანგურიძე: „კარგია, თუ ბანკებს შეეზღუდებათ სესხის გაცემა დოლარში“

## „მთავრობის ეკონომიკური ინიციატივები საკმარისი არ არის“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მთავრობის ეკონომიკურ ინიციატივებზე, ლარიზაციის გეგმასა და ონლაინ სესხების აკრძალვაზე საუბრობს.



***— ბატონო ოთარ, ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მთავრობის პოლიტიკას როგორ აფასებთ? ლარიზაციით რამდენად არის შესაძლებელი ლარის გამყარება?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება საკმარისი ინიციატივა. თუმცა ეს არის საჭირო ინიციატივა და ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს გეგმა, რომლის შემდეგაც ჩვენ სრულყოფილი მსჯელობის შესაძლებლობა მოგვეცემა.

***— ფაქტია, რომ ქვეყანაში დოლარის გამოყენება ძალიან მაღალია, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ეს შემცირდეს?***

— ჩვენ ვიცით, რომ დღესაც მსხვილი გარიგებები სწორედ დოლარში ხდება. ეს ძალიან დიდი პრობლემაა ჩვენი ეკონომიკისთვის. უძრავი ქონება თუ სხვა მოძრავი ქონება, ძვირადღირებული გარიგება დოლარში ხდება და ამ მიმართულებით არაფერი გაჟღერებულა მთავრობის სხდომაზე. რაც შეეხება იმას, რომ ბანკებს შეეზღუდებათ სესხის გაცემა დოლარში და გარკვეული ზედა ჭერი იქნება დაწესებული, ეს უკვე კარგია. ვფიქრობ, ეს ზედა ჭერი უფრო უნდა გაიზარდოს და მსხვილ გარიგებებსაც უნდა შეეხოს.

ასევე აუცილებელია, ეროვნულ ბანკს მიეცეს მეტი შესაძლებლობა, რომ განახორციელოს მონიტორინგი როგორც საფინანსო სისტემაზე, ასევე მთლიანად პროცესებზე, რადგან რეალურად მთლიანად ის არის მაკონტროლებელი.

***— ონლაინ სესხების აკრძალვასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია?***

— ეს ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ მხოლოდ ონლაინ სესხები არ არის პრობლემა. სერიოზული პრობლემა არის ასევე ლომბარდები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ძალიან დაბალი რეგულირებაა, შეიძლება ითქვას, რომ არც კი ხორციელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე რეგულირება. ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა მეტი რეგულაცია და ეს შესაძლებლობა უნდა მიეცეს ეროვნულ ბანკს.

***—სკეპტიკოსი ეკონომისტები ამბობენ, რომ ონლაინ სესხების აკრძალვას არავითარი საერთო არ აქვს ეკონომიკის ზრდასთან და თუ ავკრძალავთ ერთს, მას სხვა სეგმენტი ჩაანაცვლებს და ბაზრის ათვისება მაინც მოხდება. რამდენად რეალურია ეს არგუმენტი?***

— ეს სრულიად არაარგუმენტირებული განცხადებაა. ონლაინ სესხების მომხმარებლები არიან ადამიანები, რომელთაც არ აქვთ ძირითადი შემოსავალი და პრობლემები აქვთ სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორებიც არის ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ქონების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. სწორედ ასეთ ადამიანებზე გასცემენ ეს ორგანიზაციები სესხებს, მაგრამ კითხვა ჩნდება – რა მოტივი აქვთ, რომ გასცემენ?

მოტივი არის ერთადერთი – მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ონლაინ სესხების საპროცენტო ტარიფები დაახლოებით მერყეობს 500-დან 800 პროცენტამდე წლიურად. წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა მაჩვენებელია?! ასეთი ფაქტორები ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას აფერხებს.

მაგალითად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა ლატვია და მას ოთხი ონლაინ სესხის კომპანიისთვის საქმიანობა აკრძალული აქვს მის ტერიტორიაზე. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ძალიან ბევრ შტატში ონლაინ სესხები აკრძალულია. მიმდინარე წლის დასაწყისში გუგლმა მისი სისტემიდან საერთოდ ამოიღო ონლაინ სესხების რეკლამა. ამდენად, მსოფლიო მიმართულებით ონლაინ სესხების აკრძალვის ტენდენცია მზარდია.

### „გუგლმა მისი სისტემიდან საერთოდ ამოიღო ონლაინ სესხების რეკლამა“

***— ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ეკონომიკური ზრდა რომ მოხდეს ქვეყანაში, ფულის მასა კი არ უნდა შევკუმშოთ, პირიქით, უნდა გავზარდოთო.***

— დიახ, უნდა გავზარდოთ ფულის მასა, მაგრამ უნდა გავზარდოთ ლარის მასა და არა – დოლარის მასა. თუ ჩვენ ხელს შევუწყობთ ლარის მასის გაზრდას, ეს გაცილებით კარგი იქნება ჩვენი ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით ლარისთვის და იმ მოსახლეობისთვის, რომელთაც სესხები აქვთ დოლარში. მე მივესალმები კონვერტაციას, თუმცა, ჯერ ბოლომდე არ არის დოკუმენტი ჩამოყალიბებული და დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

***— ბატონო ოთარ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯები სოციალური აქცია უფროა, ვიდრე სწრაფი ეკონომიკის შექმნისკენ და განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები?***

— მე ვიტყოდი, რომ ორივეა. ერთი მხრივ, ძალიან მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში შექმნილი და ამ თვალსაზრისით ნამდვილად არის საჭირო მოქმედება, რადგან ასეთ მძიმე სოციალურ ფონზე რთულია ეკონომიკური დოვლათის შექმნა. მეორე, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ლარიზაციის გაზრდაზე, რადგან ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. მეტიც, დაგვიანებულიც კი არის და უფრო მკაცრი ნაბიჯების გადადგმაც კი შეიძლება ამ მიმართულებით.

***— მაგალითად, დაკანონდეს, რომ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა არ მოხდეს უცხოურ ვალუტაში, ხშირ შემთხვევაში დოლარში?***

— შესაძლებელია, რომ ასეც მოხდეს. თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ჯანსაღი ეროვნული ვალუტა გვქონდეს, რატომაც არა. მეტი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რომ ეროვნულ ვალუტას ჰქონდეს მეტი სიმყარე და წონასწორობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყოველთვის ხელს შეუშლის ლარის სიმყარეს და ყოველთვის შექმნის გარკვეულ პრობლემებს.

რაც უფრო გამყარდება დოლარი, რასაც აპირებს ახლა ამერიკის სარეზერვო ბანკი, ჩვენ მუდმივად უფრო და უფრო შეგვექმნება პრობლემა.

# პრემიერის ინიციატივა სამშენებლო ბიზნესს დააზარალებს

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 29 ნოემბერს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მომზადდება რეკლამის შესახებ კანონპროექტი, რომლის მიხედვით, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება აუცილებელი იქნება ლარით.

— ეს არ გულისხმობს სხვა ვალუტით ფასის გამოცხადების აკრძალვას. მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ ბინის ფასი უნდა გამოაცხადოს ლარით. სურვილის შემთხვევაში, მიუთითოს ფასი ნებისმიერი სხვა ვალუტით. შედეგად შემცირდება ჩვენი მოსახლეობის და ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება უცხოურ ვალუტაზე, დოლარზე და სავალუტო ცვლილებები ნაკლებ გავლენას მოახდენს ადამიანების ფინანსურ მდგომარეობაზე, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

◆ ◆ ◆

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ პრემიერის ინიციატივას დეველოპერული კომპანიები და რა შედეგის მომტანი იქნება ეს როგორც სექტორისთვის, ისე ზოგადად, ქვეყნისთვის.

დეველოპერული კომპანია „რედკოს“ მენეჯერი მალხაზ კუნელაური აცხადებს, რომ მთავრობის ინიციატივა, სავარაუდოდ, დიდი რისკის მომტანი იქნება და ბიზნესს დააზარალებს.

მისი თქმით, არ იქნება კარგი, რომ მთავრობა სექტორში ხელოვნურად ჩაერიოს.

— სამშენებლო სექტორზე ეს მართებული არ იქნება და ეს დარგს პრობლემას შეუქმნის. ადგილობრივ ბაზარზე არის მინიმალური წარმოება იმ სამშენებლო მასალების, რომელთაც ვიყენებთ. ბაზარი ძირითადად იმპორტირებულ მასალებს მოიხმარს, მით უმეტეს, თუ სამშენებლო კომპანია პრემიუმ დონის ობიექტებს აშენებს.



### დეველოპერებმა ფასდადება ლარში უნდა განსაზღვრონ

მასალები კომპანიამ დოლარში შეიძინოს და ის შემდეგ ლარში გაყიდოს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ლარის კურსის ვარდნა ვერ ჩერდება და ყოველდღიურად უფრო და უფრო უფასურდება, დიდი რისკის შემცველია, – აცხადებს კუნელაური.

მისივე თქმით, დეველოპერებს ინვესტიციები ძირითადად უცხოურ ვალუტაში შემოაქვთ. შესაბამისად, ამას თავისი ამონაგები უნდა ჰქონდეს.

— რისკი მაღალი იქნება, შესაძლოა, უძრავ ქონებაზე ფასებიც გაიზარდოს, თუმცა, ეს დამოკიდებული იქნება, ლარის გაუფასურება რა ინტენსივობით გაგრძელდება, – აცხადებს კუნელაური.

სამშენებლო კომპანია „ათორის“ ხელმძღვანელი ბესო თხელიძე განმარტავს, რომ პრემიერის ეს ინიციატივა ქვეყანაში არაფერს შეცვლის, რადგან სამშენებლო სექტორში გაყიდვები ისედაც ლარში იყო. რაც შეეხება მასალების შესყიდვას, თხელიძე ამბობს, რომ კომპანია „ათორი“ საბრუნავ სახსრებს ისედაც ლარში, ქართულ ბაზარზე ყიდულობდა.

— მე, პირადად, იმპორტირებულიც რომ იყოს, საქართველოს ბაზარზე ეროვნულ ვალუტაში ვყიდულობ. ბინების გაყიდვებზეც და მასალებზეც საორიენტაციოდ ვუთითებთ ხოლმე დოლარს. გადახდის დღეს კი ანგარიშსწორებას ლარში ვაკეთებთ. კანონში ეს იდო. ჩვენ დოლარის აღების უფლება არ გვაქვს. კლიენტი კომპანიის ანგარიშზე ლარში რიცხავს თანხას. პრემიერის ეს ინიციატივა არაფერსაც არ შეცვლის. ველოსიპედის ხელახლა გამოგონებაა, – აცხადებს თხელიძე.

მისი თქმით, ჯობს ხელისუფლებამ სამშენებლოს სექტორისთვის სხვა ტიპის პრობლემები მოაგვაროს.

კერძოდ, მისი თქმით, ბოლო პერიოდში საკმაოდ გართულებულია ნებართვების გაცემა.

— შემოიღეს უაზრო ახალი წესები. ეს კი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის, – აცხადებს თხელიძე.

დეველოპერული კომპანია „არქი ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ნინო ლოლობერიძე იწონებს მთავრობის ინიციატივას და აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილება გაყიდვების ზრდას შეუწყობს ხელს.

მისი განცხადებით, ეს წამოწყება გაუმარტივებს ყველა პოტენციურ მყიდველს და დაინტერესებულ პირს, რომ ბინა შეიძინოს.

— კლიენტებს არ ექნებათ იმის შიში, რომ თუ ერთ თვეში გადასახდელი აქვთ 1.000 ლარი, მეორე თვეში შესაძლოა 1.300 ლარი ჰქონდეთ გადასახდელი, – აცხადებს ლოლობერიძე.

რაც შეეხება ბიზნესს, მისი მტკიცებით, შესაძლოა რიგ შემთხვევაში ამ ინიციატივამ ზარალი მიაყენოს კომპანიას, თუმცა, ბალანსი დაცული იქნება და, საბოლოო ჯამში, სექტორისთვისაც და მომხმარებლებისთვისაც კარგი ეფექტის მომტანი იქნება.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# რომან გოცირიძე: „მთავრობას უნდა, რომ ხალხი მოატყუოს“

## „სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმა უკუეფექტს მოიტანს“



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რომან გოცირიძე მთავრობის სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმას სრულ არაკომპეტენტურობას უწოდებს.

მისი თქმით, ხელისუფლებამ სიტუაციის რეალურად აღქმის უნარი დაკარგა.

როგორც გოცირიძე განმარტავს, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება ხელისუფლების მიერ დაანონსებული ეკონომიკური ზრდის გეგმა. მისი თქმით, ყველა ეს ინიციატივა არის უხეში ჩარევა საბაზრო პრინციპებში, რაც ყველა მხრივ ფასების ზრდას გამოიწვევს.

— უნდათ, რომ ხალხი მოატყუონ, თითქოს ეს ყველაფერი მიმართულია ლარის გაუფასურების თავიდან ასაცილებლად. რეალურად კი, ეს ყველაფერი უკუეფექტს მოიტანს. 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა 33.000 მსესხებელს მოიცავს. ბიუჯეტს კი უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა 65 მილიონი ლარი დაუჯდება. ვის ფულს აძლევენ, ჰკითხონ ხალხს, რა ურჩევნიათ, ეს 65 მილიონი ამ რესტრუქტურიზაციისთვის დაიხარჯოს თუ სოფლებში წყლები გაიყვანონ ან პენსიები გაიზარდოს? ჰკითხონ ხალხს, პენსიების მატება ურჩევნიათ თუ 30.000 ადამიანისთვის რაღაც ვალდებულების შემსუბუქება? – აცხადებს გოცირიძე.

მისივე განმარტებით, ქვეყანა ასევე უარყოფით ეფექტს მიიღებს, მომავალი წლის იანვრიდან 100.000 ლარამდე სესხის გაცემა რომ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში იქნება შესაძლებელი. რომან გოცირიძე ამბობს, რომ ნავთობპროდუქტებზე აქციზის ზრდის გადაწყვეტილება ყველა ტიპის პროდუქტის გაძვირების წინაპირობა იქნება.

ონლაინ სესხების აკრძალვა, გოცირიძის შეფასებით, პოპულიზმია და მეტი არაფერი.

— ეს არის შეწუხებული ადამიანთა კატეგორიის გრძნობებზე აგებული ეკონომიკური ხედვა. ამით უკუეფექტს მივიღებთ, – აცხადებს გოცირიძე.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5352 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.5311 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0041 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6980 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6825 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

# რა ელით ონლაინ სესხების გამცემ კომპანიებს

## გიორგი კაკაურიძე: „ის ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის გაღატაკებაზე მუშაობენ, ეტაპობრივად გაუქმდებიან“

**ონლაინ არასაბანკო საკრედიტო ასოციაცია მთავრობას მიმართავს თხოვნით – საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაუწიოს შუამდგომლობა ონლაინ სესხების გამცემი კომპანიებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსის მინიჭების პროცესის დროში დაჩქარების მიზნით.**



ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის თქმით, ონლაინ სესხების გაცემა არ აიკრძალება, თუმცა ისეთი რეგულაციები დაწესდება, რომლებიც ზოგიერთი ასეთი კომპანიის გაუქმებას გამოიწვევს.

გიორგი კაკაურიძის ინფორმაციით, დაწესდება ზღვრული მაჩვენებელი იმ ჯარიმაზე, რაც შეიძლება მსესხებელს დაეკისროს:

– პირობითად, შეიძლება სესხის ძირის ორმაგ ოდენობაზე მეტის დაკისრება არ მოხდეს პროცენტების სახით. რეგულაციები აუცილებლად შემოვა და ეს აუცილებლად გამოიწვევს ონლაინ სესხების ნაწილის გაუქმებას, ვინაიდან ისინი მაღალი რისკის მქონე პირებზე მუშაობენ და იმით სარგებლობენ, რომ ეს მომხმარებლები ცუდ მდგომარეობაში არიან. ამიტომ მათი დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, დაიხურება.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, კანონი დაარეგულირებს, თუ რა სახელწოდება ექნებათ მომავალში ონლაინსასესხო კომპანიებს:

– რეგულაციები იმისთვის იქნება, რომ მსესხებელი იყოს დაცული და 100 ლარში 20 ათასი ლარის გადახდა არ მოუწიოს. ის ორგანიზაციები, რომლებიც სწორად აკეთებენ ბიზნესს და სწორი მენეჯმენტი აქვთ, რა თქმა უნდა, დარჩებიან და იქნებიან ბაზარზე. რა სახელწოდებით იქნებიან, ამას კანონი დაარეგულირებს, თუმცა ის ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის გაღატაკებაზე მუშაობენ, ეტაპობრივად გაუქმდებიან.

* * *

საქართველოს ონლაინ არასაბანკო საკრედიტო ასოციაცია, ონლაინ სესხების აკრძალვის ინიციატივასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს.

ასოციაცია ეხმაურება საქართველოს მთავრობის და პრემიერ-მინისტრის 29 ნოემბრის ინიციატივას ონლაინ სესხების ბაზრის დარეგულირების შესახებ და ამასთან დაკავშირებით ონლაინ სესხების გამცემი მსხვილი კომპანიების სახელით აცხადებს:

1. ჩვენთვის მისაღებია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დარგის დარეგულირების შესახებ;

2. მთავრობას მივმართავთ თხოვნით – საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაგვიწიოს შუამდგომლობა ონლაინ სესხების გამცემი კომპანიებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსის მინიჭების პროცესის დროში დაჩქარების მიზნით;

3. ბაზრის ჯანსაღი მოთამაშეების ინტერესებში შედის, რომ ისინი ბაზარზე წარმოდგენილნი იყვნენ ეროვნული ბანკის რეგულაციის ქვეშ და მომხმარებელს საფინანსო პროდუქტებს აწვდიდნენ შესაბამისი სტანდარტით;

4. მიგვაჩნია, რომ მთავრობის ინიციატივა ონლაინ სესხების ბაზრის შემდგომი განვითარების და სტრუქტურული ინვესტიციების განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს;

5. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ონლაინ სესხების ბაზრის დარეგულირება არა მარტო მომხმარებლის ინტერესებში შედის, არამედ თავად ამ ბიზნესის წარმომადგენლების – ეს ხელს შეუწყობს მათი რეპუტაციის და ნდობის ხარისხის გაზრდას.

განცხადებას ხელს აწერენ ასოციაციის წევრები: ვივუს.გე; ნეტკრედიტ.გე; სისილოან.გე; კრედიტონ.გე; მანიმან.გე; ემა კრედიტ.გე; მასესხე.გე; მინიკრედიტ.გე; მოზო.გე; მონ.გე.

* * *

– მე პირადად, აკრძალვების და რეგულაციების მომხრე არ ვარ, რადგან, როგორც წესი, ის, რაზეც ბაზარზე მოთხოვნილებაა, ჩრდილოვან სექტორში გადადის ხოლმე, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე ონლაინ სესხების აკრძალვას ეხება, მგონია, რომ ეს მთავრობის ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო.

ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, რომან კაკულიამ გადაცემა 2030-ში სტუმრობისას განაცხადა.

– ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ის, რაც ფორმალურად აიკრძალება, არაფორმალური და სხვა შედეგების მომტანი არ გახდეს. გუნდს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ეს გაცნობიერებული აქვს, – აღნიშნა ბ-მა კაკულიამ.

მისი აზრით, ეს არც მთავრობის ახირებაა და არც – ვინმეს წინააღმდეგ გალაშქრება. ამ გადაწყვეტილების უკან ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციის მიზანი დგას. ეკონომიკური გუნდი ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯით სიტუაციის სტაბილიზაციას მოახერხებს, რაც ყველა კომერციული ინსტიტუტის ინტერესებში შედის.

– ნებისმიერი რეფორმის შედეგად, კონკრეტულ მომენტში ვიღაც ყოველთვის ზარალდება და ეს არ არის სიტუაცია, საიდანაც ისე გამოვალთ, რომ არავის არავითარი ტკივილი არ მიადგეს. ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ჩვენ პრიორიტეტები უნდა გამოვყოთ. პრიორიტეტი კი სიტუაციის სტაბილიზაციაა, – განაცხადა რომან კაკულიამ.

მისი თქმით, ჩვენი ეკონომიკა ყოველთვის მოწყვლადი იქნება, თუ რეალური განვითარება არ მოხდა და სამომავლო გეგმები, რაც მთავრობის გუნდს გააჩნია, სწორედ რეალურ განვითარებას გულისხმობს.

**რომან კაკულია:**

– მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. გუნდს, რომელიც ქვეყანას 9 წლის განმავლობაში მართავდა, განვითარების მაღალი ტემპი ჰქონდა, მაგრამ ეს იყო გუნდი, რომელიც გარე ვალს უფრო ადვილად იღებდა, ჩვენ კი ამ საკითხს სხვანაირად ვეკიდებოდით.

ეს იყო გუნდი, რომელიც სოციალური მიმართულებით თანხების ხარჯვაზე თავს მაინცდამაინც არ იკლავდა და სოფლის მეურნეობა აბსოლუტურად იგნორირებული ჰქონდა და ა.შ. ჩვენ მიერ უარი შეგნებულად ითქვა იმ მიზეზებზე, რის გამოც პროგრესი შესაძლოა, მაშინ ცოტა უფრო მეტი იყო.

გვახსოვს პრივატიზების ტენდენცია, როცა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებოდა. ეს შემოსავალი იყო, რითაც რაღაცები გაკეთდა, მაგრამ ყველაფრის ხელაღებით გაყიდვა დამთავრდა. ეს მთავრობა იმდენ სესხს აღარ იღებს და პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცილებით ფრთხილი მიდგომა აქვს.

ჯანდაცვაზე ამხელა რესურსები დაიხარჯა, სოფლის მეურნეობა ფაქტიურად, შოკიდან გამოვიდა და ეს ყველაფერი ხარჯებია, ეკონომიკა კი თანხების ყველა მიმართულებით გაშვებას ვერ იტანს. როცა თანხებს ერთი მიმართულებით უშვებ, ის მეორეს აკლდება.

* * *

საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ცუცქირიძე ონლაინ სესხების კომპანიებს მიკროსაფინანსოებად ჩამოყალიბებას ურჩევს.

„პირველის პრესკლუბში“ გამართულ ბრიფინგზე ბანკების ასოციაციის დირექტორმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა, უფრო სოლიდურ საკრედიტო ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ.

– ვფიქრობ, თუ ეს არის სოლიდური კაპიტალით შექმნილი ორგანიზაციები, დაახლოებით 100 ათასი დოლარია საჭირო, 250 ათას ლარამდე, რომ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდეს, – განაცხადა ცუცქირიძემ.

მან მთავრობის გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტენდენცია, რომელიც ამ სექტორში იყო, სამართლიანობის პრინციპს არღვევდა ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მიმართებაში, ამიტომ მსგავსი გადაწყვეტილებით, დაცული იქნება კლიენტებთან ურთიერთობის ეთიკის კოდექსი.

* * *

ონლაინ სესხებთან დაკავშირებით არსებულ პროექტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად, მთავრობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო პაკეტს ამზადებს, რომლის მიხედვითაც, ონლაინ სესხების გაცემა აიკრძალება.

ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აცხადებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის სესხების გაცემის იგივე მოდელი, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით აღარ იმუშავებს.

დიმიტრი ქუმსიშვილმა არ დააკონკრეტა, რას სთავაზობს კომპანიებს ხელისუფლება.

ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში 2014 წელს გამოჩნდა.

ქვეყანაში, ამ დროის მონაცემებით, 40-ზე მეტი სწრაფი სესხის გამცემი კომპანია ოპერირებს, რომელთა საქმიანობას არც სახელმწიფო და არც ეროვნული ბანკი არეგულირებს.

# ესპანეთში ქართული დანაშაულებრივი ჯგუფის 44 წევრი დააკავეს

სამშაბათს, 29 ნოემბერს, ესპანეთის პოლიციამ ქართული მაფიის წინააღმდეგ მასშტაბური სპეცოპერაცია წამოიწყო და 44 ადამიანი დააკავა.

სპეცოპერაცია ჩატარდა მადრიდში, ბარსელონაში, სევილიასა და ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე დასახლება ბარაკალდოში. ამ



დროისთვის გაურკვეველია, 44 დაკავებულიდან რამდენია საქართველოს მოქალაქე. დაკავებულებს ასობით ბინის ძარცვაში ადანაშაულებენ.

დაკავებულთა შორის არიან ესპანელებიც, რომლებიც მოპარულ ნივთებს ყიდულობდნენ. ეს ნივთები ძირითადად საიუველირო ნაწარმი და მაჯის საათები იყო.

დაკავებულები, შესაძლოა, ასევე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობაში, ნარკოტიკების და იარაღის შენახვასა და საბუთების გაყალბებაში, ასევე ფულის გათეთრებაში დაადანაშაულონ.

ასევე ესპანეთის პოლიციამ კანონიერ ქურდზე, სპარტაკ ჯაფარიძეზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

ის, სავარაუდოდ, იტალიაში იმალება.

უახლოეს მომავალში საგამოძიებო მოქმედებების კოორდინაციისთვის ესპანელი სამართალდამცველები საქართველოში ჩამოვლენ.

# ჯამალაშვილს და ფხალაძეს გამოუშვებენ

## პროკურორი კოტრიკაძე: „ბრალდებულების თავისუფლებაზე ყოფნით მტკიცებულებების გამოკვლევისთვის ხელის შეშლა არ მოხდება“

გუშინ, 30 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დახურულ რეჟიმში ფარული ჩანაწერების საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი ზურაბ ჯამალაშვილი და ადვოკატი ირაკლი ფხალაძე სამართალდამცველებმა პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ბრალდებით, 2016 წლის მარტში დააკავეს. მათ ბრალად საზოგადოებისთვის ცნობილი პირების პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მოპოვება და შენახვა ედებათ.

გუშინდელ პროცესზე ბრალდებულების ადვოკატები აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლას და მათი გათავისუფლების შუამდგომლობის დაყენებას გეგმავდნენ, თუმცა მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამ შუამდგომლობის განხილვა 9 დეკემბერს მოხდება.

– ზურაბ ჯამალაშვილი და ირაკლი ფხალაძე წინასწარი პატიმრობიდან 9 დეკემბერს გათავისუფლდებიან.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ჯამალაშვილის ადვოკატმა გიორგი ფოფხაძემ განუცხადა.

როგორც გიორგი ფოფხაძემ აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა 14 დეკემბერს ეწურება, ირაკლი ფხალაძეს კი – 13 დეკემბერს. სასამართლო განხილვები ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება და ბრალდებულებს, კანონის თანახმად, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუუქმდეთ.

როგორც ჩანს, ამის წინააღმდეგი არც პროკურატურა იქნება.

– ბრალდებულების თავისუფლებაზე ყოფნით არანაირად არ მოხდება მტკიცებულებების გამოკვლევისთვის ხელის შეშლა.

ამის შესახებ ფარული ჩანაწერების საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ ჟურნალისტებს გუშინდელი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც კოტრიკაძემ აღნიშნა, საქართველოს კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებული გათავისუფლდეს, რასაც პროკურატურა ვერ შეცვლის.

მისივე თქმით, დღემდე არსებობს ის საფრთხეები, რომლებიც აღკვეთის ღონისძიებას ედო საფუძვლად, კერძოდ, მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების, ასევე მტკიცებულებების განადგურების საფრთხეები. თუმცა, როგორც პროკურორმა აღნიშნა, ამ საფრთხეების პრევენცია მოხდება.

– აღკვეთის ღონისძიების საფუძვლებს არანაირი კავშირი არ აქვს პატიმრობის ცხრათვიანი ვადის ამოწურვასთან. საფრთხეები ახლაც არსებობს და მათი პრევენცია მოხდება იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებულები ივლიან სასამართლო პროცესებზე, სადაც მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდება და ისინი თავისუფლებაზე ყოფნით დაელოდებიან სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. არ მოხდება მტკიცებულებების გამოკვლევისთვის ხელის შეშლა, – განაცხადა ლაშა კოტრიკაძემ.



რაც შეეხება დაცვის მხარის ბრალდებას პროცესების გაჭიანურებასთან დაკავშირებით, როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდების მხარე მუშაობს იმ გრაფიკით, რაც სასამართლოს აქვს აღნიშნულ საქმეზე გაწერილი.

– ამ ეტაპისთვის ობიექტური მიზეზების გამო ვერ იქნა ამოწურული მტკიცებულებების გამოკვლევა. ეს ხდება საქმის მოცულობიდან და მტკიცებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, – განაცხადა პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ.



# თბილისში ტრაილერმა ქალს გადაუარა

გუშინ, 30 ნოემბერს, თბილისში, სარაჯიშვილის მეტროსთან ტრაილერმა ქვეითად მოსიარულე ქალს გადაუარა.

ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი მთავრობის დაკომპლექტებას განაგრძობს



აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მთავრობის დაკომპლექტებას განაგრძობს.

ახალი სახელმწიფო მდივნის ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია, მთავრობაში სხვა ვაკანსიები კი ნელ-ნელა ივსება.

უკვე ცნობილია, რომ ჯანდაცვის მინისტრის პოსტს განათლებით ქირურგი პრაისი დაიკავებს, ტრანსპორტის მინისტრი კი ელენე ჩაო გახდება.

ფინანსთა მინისტრის თანამდებობას სტივენ მნუჩინი დაიკავებს.

ამავე დროს, ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკის დროშა წმინდათა წმინდაა და ყველა, ვინც მას შეურაცხყოფს, უნდა დაისაჯოს.

— ისინი, ვინც ჩვენს დროშას წვავს, დანდობას არ იმსახურებენ! — აცხადებს ტრამპი.

პრეზიდენტმა ობამამ ეს სიტყვები გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ დროშის დაწვა აზრის გამოხატვის თავისუფლებაა.

— სიტყვის თავისუფლება კი კონსტიტუციითაა დაცული, — ამბობს ობამა.

# კუბელი მხატვარი კასტროს სიკვდილს ზეიმობდა და ციხეში მოხვდა



კუბის პოლიციამ ცნობილი მხატვარი დანილო მალდონადო დააპატიმრა. მან ინტერნეტში განათავსა ვიდეო, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ზეიმობდა ის კასტროს სიკვდილს.

მალდონადოს წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

# სერგეი ბონდარი: „ლუგანსკს ჭურვები სეპარატისტებმა დაუშინეს“

„ლუგანსკის რესპუბლიკის“ მხარეს მებრძოლმა ბელარუსის მოქალაქე სერგეი ბონდარმა განაცხადა, რომ ლუგანსკის საარტილერიო დაბომბვა თავად სეპარატისტებმა განახორციელეს.

— ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ მოსახლეობაში პანიკა დაგვეთესა და უკრაინელების სახით მტრის ხატი შეგვექმნა, — განუცხადა ბონდარმა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს.

ბელარუსმა დაქირავებულმა აღნიშნა, რომ ბელარუსის სპეცსამსახურები ფრიად შემწყნარებლურად უყურებენ მათ, ვინც დონბასელი სეპარატისტების მხარეს იბრძვის. ამავე დროს, დევნას განიცდიან ისინი, ვინც უკრაინელთა რიგებში იმყოფება.

— ასეთებს ჩვენი სპეცსამსახურები ბანდერელთა დამქაშებს უწოდებენ და დევნიან, — ამბობს ბონდარი.



# რუსეთში იუთუბი აიკრძალება?

რუსეთის მედიაკავშირის განცხადებით, შესაძლოა რუსეთის ტერიტორიაზე იუთუბი აიკრძალოს. მიზეზი დუმის მიერ მიღებული კანონია, რომლის თანახმადაც უცხოელებს ონლაინ კინოთეატრების ფლობა ეკრძალებათ.




— იუთუბი ამერიკული პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. მისი აკრძალვა კარგა ხნის წინ იყო აუცილებელი, — აცხადებს ჟირინოვსკი.



# ერდოღანი ასადის დამხობას აპირებს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ მისი არმია სირიის დიქტატორის, ასადის დამხობას აპირებს.

— სირიაში ჩვენი შეიარაღებული ძალები სწორედ ამ მიზნით შევიყვანეთ, — განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასადი ტირანია, რომელმაც საკუთარი ხალხის გენოციდი მოაწყო. სირიაში სამოქალაქო ომის დროს 360 ათასი ადამიანია დაღუპული, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები სჭარბობენ.

— დასავლეთი ასეთი ბოროტების წინაშე ფაქტიურად უძლურია, ჩვენ კი მასთან საბრძოლველად მზადა ვართ, — ამბობს ერდოღანი.

# უზბეკეთიდან რუსი ჟურნალისტი გააძევეს




უზბეკეთის პოლიციამ დააპატიმრა რუსი ჟურნალისტი ეკატერინე საჟნევა, რომელიც რესპუბლიკაში პირადი საქმის გამო ჩავიდა.

ამავე დროს, ის ადგილობრივ ოპოზიციონერებსაც შეხვდა და მათი ნაამბობიც ჩაიწერა. ამ დროს პოლიციამ დააკავა.

ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ საჟნევა უზბეკეთიდან გააძევეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ტაჯიკეთში რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლებს აკრედიტაცია გაუუქმეს

ტაჯიკეთის ხელისუფლებამ რადიო „თავისუფლების“ 6 თანამშრომელს აკრედიტაცია ჩამოართვა. მიზეზი ჟურნალისტების მიერ პრეზიდენტ რაჰმონის ოჯახზე გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია იყო. ამ სტატიაში გაანალიზებულია, თუ რატომ დაინიშნა რაჰმონის ქალიშვილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე.

— ჟურნალისტებს იმწამსვე აკრედიტაცია გაუუქმეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.





# გერმანიის დაზვერვა მთავრობას აფრთხილებს

ფედერალური სადაზვერვო სამსახურის (ბნდ) შეფმა ბრუნო კალმმა განაცხადა, რომ 2017 წლის არჩევნების წინ რუსი ჰაკერების გააქტიურებაა მოსალოდნელი. რუსების მხრიდან კიბერ-შეტევებიც გაიზრდება.

— მოსკოვის მიზანი გერმანიაში მდგომარეობის დესტაბილიზაცია და ევროინტეგრატორთა მარცხის უზრუნველყოფაა, — თქვა კალმმა.

# სირიელ ანგელა მერკელს გერმანიაში თავშესაფარი არ მისცეს



გერმანიის ხელისუფლებამ სირიელი მიგრანტების წყვილს, რომელმაც თავიანთ ახლად დაბადებულ გოგონას გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა, თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრა.

მამონ ალ-ჰამზა, მისი მეუღლე ტემა და გოგონა ანგელა მერკელი სირიიდან ჩამოსვლის შემდეგ ქვეყანაში კანონიერად დარჩენის უფლების მიღების მოლოდინში ქალაქ მიონხენგლადბახში ცხოვრობდნენ. თუმცა ახლა უკვე ოჯახს ერთი წლის განმავლობაში მოუწევს გერმანიისა და ევროკავშირის დატოვება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავშესაფრის მიცემაზე უარის მიღების შემდეგ, პატარა ანგელა მერკელის მშობლებს თურქეთში დაბრუნებას სთავაზობენ, როგორც იმ ქვეყანას, რომელმაც პირველმა უზრუნველყო მათი უსაფრთხოების დაცვა. ალ-ჰამზას ოჯახი ევროკავშირის ტერიტორიაზე 2015 წელს ჩავიდა. მათი გოგონა გერმანიის ქალაქ დუისბურგში დაიბადა. მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მისთვის გერმანიის კანცლერის პატივსაცემად ანგელა მერკელი დაერქმიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

### მომსახურება

- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**წვერსაპარსი PHILIPS**
**70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50დБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158



**ელექტროლეიბი — ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეძრა



კოლუმბიის ჩრდილო-დასავლეთით ავიაკატასტროფაში ბრაზილიელი მგზავრების დაღუპვის გამო, ბრაზილიის ხელისუფლებამ სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

თვითმფრინავში, რომელიც სან პაულოდან მედელინში ჩარტერულ რეისს ასრულებდა, 81 მგზავრი, მათ შორის ბრაზილიის საფეხბურთო კლუბის შაპეკოენსეს ფეხბურთელები იმყოფებოდნენ, ისინი მედელინში სამხრეთ ამერიკის თასის ფინალში, ადგილობრივ კლუბ ატლეტიკო ნასიონალთან შესახვედრად მიფრინავდნენ.

ამ დროისთვის ბურუსითაა მოცული ავიაკატასტროფის მიზეზი. კოლუმბიური წყაროების ცნობით, თვითმფრინავის ეკიპაჟმა დედამიწასთან კავშირი დაკარგა და დანიშნულების ადგილზე მისვლამდე 30 კილომეტრით ადრე განიცადა კატასტროფა. დისპეტჩერებმა თვითმფრინავთან კავშირი ლა-სეხასა და აბერხორალის მთების გავლის დროს დაკარგეს.

მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ავიაკატასტროფას 6 მგზავრი გადაურჩა, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ გადარჩენილთაგან ერთ-ერთი, საფეხბურთო გუნდის მეკარე მარკოს დანილო პადილია, საავადმყოფოში გარდაიცვალა. გადარჩენილთა შორისაა მეორე მეკარეც ჯეკსონ ფოლმანი, რომელსაც ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ადგილობრივი მედია ასევე იტყობინება კიდევ ერთი გადარჩენილი ფეხბურთელის შესახებაც, მცველი ალან რუშელი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოშია, მათი ინფორმაციით, ხერხემალზე იმდენად მძიმე დაზიანებები აქვს მიღებული, რომ შესაძლოა პარალიზებული დარჩეს.

კოლუმბიური საფეხბურთო კლუბი ატლეტიკო ნაციონალი ითხოვს, რომ გამარჯვებულის ტიტული სწორედ შაპეკოენსეს მიენიჭოს. ტურნირის ორგანიზატორებს ჯერჯერობით არ მიუღიათ გადაწყვეტილება, ვისთან ითამაშებს ატლეტიკო ფინალს და შედგება თუ არა საერთოდ საფინალო მატჩი.

მატჩზე სხვადასხვა მიზეზების გამო კლუბის 9 ფეხბურთელი არ გაემგზავრა. შაპეკოენსეს სათადარიგო მეკარე, მარსელო ბუკი, რომელიც სამატჩო განაცხადში ვერ მოხვდა, სტადიონის გასახდელში ლოცულობდა. იქვე იყვნენ კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელები და მიცვალებულებს სანთლები აუნთეს.

შაპეკოენსე, რომელიც 2009 წელს ბრაზილიის რანგით მეოთხე დივიზიონში ასპარეზობდა, ადგილობრივი ბიზნესმენების დახმარებით გაკოტრებას გადაურჩა და აღზევება დაიწყო. 7 წლის თავზე კლუბი ისტორიულ მიღწევასთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა უბედურმა შემთხვევამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა.

შაპეკოენსეს ტრაგედიამ საფეხბურთო სამყარო შეძრა. 1973 წელს დაარსებული კლუბისგან, რომელიც წელს ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებდა, ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა. საბედისწერო ავიაკატასტროფას ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი თითქმის მთლიანად შეეწირა. სიკვდილს გადაურჩა მხოლოდ 2 ფეხბურთელი, თუმცა მათთვის ფეხბურთი დასრულებულია.

შაპეკოენსეს ირგვლივ გაერთიანდნენ ბრაზილიური საფეხბურთო კლუბები. სერია ა-ს ყველა გუნდმა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას ოფიციალური წერილით მიმართა, რომ ტრაგედიას შეწირული გუნდი მომდევნო 3 სეზონის განმავლობაში ბრაზილიის მთავარი ლიგიდან არ დააქვეითონ.

გარდა ამისა, ბრაზილიური გუნდები თანახმანი არიან, თავიანთი ფეხბურთელები შაპეკოენსეს განათხოვრების წესით ყოველგვარი თანხის გარეშე დაუთმონ.

ეს პირველი ტრაგედია არ არის სპორტის ისტორიაში. გავიხსენოთ მსოფლიო სპორტის ისტორიაში მომხდარი ყველაზე დიდი ტრაგედიები.

### 1949 წელი, 4 მაისი. ტურინი, იტალია

საფეხბურთო კლუბი ტორინო ლისაბონიდან ტურინში ბრუნდებოდა მას შემდეგ, რაც ბენფიკასთან ამხანაგური გასვლითი მატჩი გამართა. ტურინთან ახლოს თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ბორტზე მყოფი ყველა, 31 ადამიანი გარდაიცვალა. მათ შორის, ფეხბურთელების გარდა, იყვნენ კლუბის წარმომადგენლები და ცნობილი ჟურნალისტები, „ტუტოსპორტის" დამფუძნებლის, რენატო კასალბორეს ჩათვლით.

### 1958 წელი, 6 თებერვალი, მიუნხენი, გერმანია

საფეხბურთო კლუბი მანჩესტერ იუნაიტედი ბელგრადის ცრვენა ზვეზდასთან გამართული ჩემპიონთა თასის (ახლანდელი ჩემპიონთა ლიგა) მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან და გულშემატკივრებთან ერთად ბელგრადიდან მანჩესტერში, მიუნხენის გავლით მიფრინავდა. თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა, რომლის შედეგად ბორტზე მყოფი 44 ადამიანიდან 20 ადგილზე, 3 კი მოგვიანებით გარდაიცვალა. მიუნხენის კატასტროფას ცოცხალი 19 ადამიანი გადაურჩა. მიუნხენის ტრაგედიას ფილმიც მიუძღვნეს – „მიუნხენი".

### 1961 წელი, 15 თებერვალი, ბრიუსელი, ბელგია

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტრაგედია ბოინგ 707-ის კატასტროფის შედეგად დატრიალდა. თვითმფრინავში, რომელიც ნიუ-იორკიდან პრაღაში მიფრინავდა, 73 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის აშშ-ის ფიგურული სრიალის ნაკრების სრული შემადგენლობა, რომელიც ჩეხეთში (მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში) მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრებოდა. კატასტროფას თვითმფრინავში მყოფი უკლებლივ ყველა ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

### 1972 წელი, 13 ოქტომბერი, ჩილე, ანდები

ურუგვაის საჰაერო ძალების რეისი 571-ის კატასტროფა ისტორიაში დარჩა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული.

რეისი, რომლის 45 მგზავრს შორის უმრავლესობა ურუგვაის მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი იყო, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში მიფრინავდა, კატასტროფა კი ანდების მთებში განიცადა. მგზავრების და ეკიპაჟის წევრების დიდი ნაწილი ადგილზევე გარდაიცვალა, ნაწილი კი იქამდე, ვიდრე სამაშველო ოპერაცია დასრულდებოდა.

„ანდების სასწაულს" საბოლოოდ მხოლოდ 16 ადამიანი გადაურჩა, რომელთა პოვნაც მაშველებმა მხოლოდ კატასტროფიდან ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, 23 დეკემბერს შეძლეს. ნამდვილ ამბავზე დაყრდნობით ფილმიც არის გადაღებული.

### 1961 წელი, 3 აპრილი

ჩილეს ისტორიაში ყველაზე საშინელ ავიაკატასტროფად მიიჩნევა ტრაგედია, სადაც საფეხბურთო კლუბი გრინ კროსის 8 ფეხბურთელი გარდაიცვალა. სულ კი 24 ადამიანი გარდაიცვალა.

### 1969 წელი, 26 სექტემბერი, საფეხბურთო კლუბი სტრონგეტსი (ბოლივია)

ცნობილია, როგორც ვილოკოს ტრაგედია: თვითმფრინავში მყოფი ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრი, ჯამში 83 ადამიანი გარდაიცვალა.

### 1979 წელი, 11 აგვისტო, ფახთაქორი

ტუ-134-ით ტაშკენტელი ფეხბურთელები მინსკში მიფრინავდნენ მორიგი მატჩის სათამაშოდ. უკრაინის ცაზე თვითმფრინავი 8.400 მეტრის სიმაღლეზე ანალოგიურ საჰაერო ხომალდს შეეჯახა, რომელშიც ბანაკ არტეკში მიმავალი ბავშვები იმყოფებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ტრაგედია საბჭოთა კავშირის მაშინდელი ლიდერის, ლეონიდ ბრეჟნევის საჰაერო გზის განთავისუფლებამ გამოიწვია.

# „დიდი 10" რიონისპირული დერბით განახლდა



ნოემბრის ტესტების გამო „დიდი 10" ხანგრძლივი პაუზის შემდეგლა განახლდა. გუნდებს მაინც აკლდნენ ბორჯღალოსნები, რომლებიც ამავე უქმეებზე შოტლანდიაში მართავდნენ ტესტს.

ჩემპიონატის ოთხივე ლიდერი ერთდროულად თამაშობდა 3 სხვადასხვა ქალაქში. მე-9 ტურში მდევრები – ლელო და ლოკომოტივი ერთმანეთში რომ დაზავდნენ, ლიდერი – ქუთაისის აია მეტად დაწინაურდა და პირველი წრე ცხრილის კენწეროში დაასრულა.

აიამ ამ საუკუნის პირველი რიონისპირული დარბი ისე მოუგო ახალბედა ბაგრატს, რომ ლელო არ დადებულა – 12:9.

ბოლო 4 წლის ჩემპიონი ლელო ავჭალაში მეტწილად უსწრებდა 9-გზის ფალავან ლოკომოტივს, მაგრამ გრანდების რკენა მაინც ფრედ დასრულდა – 25:25.

ბრინჯაოს პრიზიორმა ჯიქმა სეზონში მეხუთედ აილო პრემია მაშინ, როცა ყველა სხვა კლუბმა იგივე სულ 4-ჯერ მოახერხა. გორელებმა პრემიალური ქულით ამჯერად არმაზს აჯობეს – 42:17.

ბათუმმა შინ, ახალი სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ძლია აკადემია – 13:7, ბოლო ადგილზე მყოფი ყოჩები კი ამჯერად არმიასთან დამარცხდა – 14:25.

წინა ტურთან შედარებით ლელოიანობამ იმატა – დაიდო 20 ლელო და საშუალო მაჩვენებელი 3.58 გახდა. გაუმჯობესდა დისციპლინაც – გაიცა სამადსამი ყვითელი ბარათი, ბომბარდირთა დავაში კი არმიის შუამარბი, ბექა ურჯუკაშვილი დაწინაურდა – 84 ქულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 9 | 7 | 0 | 2 | 173:125 | 31 |
| 2.ლოკომოტივი | 9 | 6 | 1 | 2 | 167:122 | 28 |
| 3.ჯიქი | 9 | 5 | 1 | 3 | 191:114 | 28 |
| 4.ლელო | 9 | 5 | 2 | 2 | 175:152 | 27 |
| 5.ბათუმი | 9 | 6 | 0 | 3 | 150:126 | 26 |
| 6.არმია | 9 | 5 | 0 | 4 | 149:144 | 22 |
| 7.ბაგრატი | 9 | 3 | 0 | 6 | 150:162 | 17 |
| 8.აკადემია | 9 | 3 | 0 | 6 | 132:149 | 16 |
| 9.არმაზი | 9 | 2 | 0 | 7 | 117:222 | 9 |
| 10.ყოჩები | 9 | 1 | 0 | 8 | 116:204 | 7 |

## შედეგები

**29 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ლივერპული-ლიდსი 2:0

ჰალი-ნიუკასლი 0:0 (3:1პ)

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ლეგანესი-ვალენსია 1:3

ალკორკონი-ესპანიოლი 1:1

ხიხონი-ეიბარი 1:2

**იტალია. თასი**

ემპოლი-ჩეზენა 1:2(დდ)

კიევო-ნოვარა 3:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლილი-კაენი 4:2

ლორიანი-რენი 2:1

დიჟონი-მონაკო 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 15 | 10 | 3 | 2 | 44-16 | 33 |
| 2.ნიცა | 14 | 10 | 3 | 1 | 26-10 | 33 |
| 3.პსჟ | 14 | 10 | 2 | 2 | 28-8 | 32 |
| 4.რენი | 15 | 7 | 3 | 5 | 16-19 | 24 |
| 5.გენგამი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-14 | 23 |
| 6.ბორდო | 14 | 6 | 5 | 3 | 19-16 | 23 |
| 7.ლიონი | 14 | 7 | 1 | 6 | 22-18 | 22 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 5 | 6 | 3 | 16-12 | 21 |
| 9.ტულუზა | 14 | 5 | 4 | 5 | 17-13 | 19 |
| 10.ანჟე | 14 | 5 | 3 | 6 | 13-14 | 18 |
| 11.მეცი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-25 | 18 |
| 12.მარსელი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-17 | 17 |
| 13.მონპელიე | 14 | 3 | 7 | 4 | 20-27 | 16 |
| 14.დიჟონი | 15 | 3 | 6 | 6 | 19-22 | 15 |
| 15.ლილი | 15 | 4 | 2 | 9 | 14-21 | 14 |
| 16.კაენი | 15 | 4 | 2 | 9 | 13-27 | 14 |
| 17.ბასტია | 14 | 3 | 4 | 7 | 11-14 | 13 |
| 18.ნანტი | 14 | 3 | 4 | 7 | 9-18 | 13 |
| 19.ნანსი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-19 | 13 |
| 20.ლორიანი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-27 | 11 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-ამიენი 1:1

ბრესტი-ტრუა 2:1

ვალანსიენი-გაზელეკი 0:0

ლე ავრი-სტრასბური 0:1

კლერმონი-ტური 0:0

ლავალი-ლანსი 0:1

ოსერი-ნიმი 2:0

რედ სტარი-ორლეანი 1:0

სოშო-ბურჟი 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-რიდი 1:0

ბელგია. თასი

ეუპენი-ბრიუგე 3:2

მეხელენი-სტ.ტრუიდენი 2:2 (4:3პ)

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ლუნგბიუ 0:1

სონდერიისკე-ოლბორგი 1:1

კოპენჰაგენი-ვიბორგი 4:0

# თემურ ფარცვანია: „უკრაინა მიყვარს, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა"



გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონეცკის ოლიმპიკის მარჯვენა მცველი თემურ ფარცვანია კარიერას თბილისის დინამოში გააგრძელებს. არის საუბარი ამ ფეხბურთელის საქართველოს ნაკრებში თამაშზე და მისთვის ქართული პასპორტის გადაცემაზეც. თუმცა, ფარცვანია ჯერ ისევ უკრაინის მოქალაქედ რჩება და ქართულ მხარეს მისდამი სანაკრებო ინტერესი ჯერ არ გამოუხატავს.

ვნახოთ, რას ფიქრობს თავად ფეხბურთელი, რომელმაც უკრაინულ მედიასთან თბილისის დინამოსა და საქართველოს ნაკრებზეც ისაუბრა.

– გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა თბილისის დინამოში გადახვიდე. რამდენად რეალურია ეს?

– რამდენიმე დღის წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი ხილვა თბილისის დინამოში სურთ, თუმცა ვუთხარი, რომ ზაფხულამდე კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და არსად წასვლას ვაპირებ. ახლა დინამოზე საერთოდ არ ვფიქრობ და არც არაფერს შევპირებივარ. არ ვიცი, 1 წლის შემდეგ რა იქნება... შესაძლოა, სათამაშოდ ევროპაში წავიდე, მაგრამ ახლა არაფერი ვიცი.

***– დინამოს მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის ესაუბრე?***

– პირადად მასთან არ მისაუბრია. ეტყობა, მისი დავალებით დამირეკეს და მითხრეს, რომ დინამოში ვუნდოდი.

***– ცოტა ხნის წინ ამბობდი, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის წინააღმდეგი არ ხარ. არის ამ მხრივ რაიმე ახალი?***

– კონკრეტული საუბარი ჯერ არ ყოფილა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან დაინტერესება იყო, მაგრამ უკრაინული პასპორტი მაქვს, მე კი ქართული პასპორტი მჭირდება. ვნახოთ, არაა გამორიცხული, მალე მივილო. ეს საკითხი მალე უნდა გადაწყდეს. თუ ქართული პასპორტი ავიღე და ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიეს, ძალიან მაგარი იქნება.

– ვთქვათ, ერთდროულად მოგივიდა მოწვევა საქართველოსა და უკრაინის ნაკრებებიდან. არჩევანს რომელზე გააკეთებდი?

– რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჯერ არც უკრაინიდან მაქვს კონკრეტული წინადადება და არც – საქართველოდან. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი. მიყვარს უკრაინა, მაგრამ თავადაც გესმით, რომ საქართველო ჩემი მშობლიური ქვეყანაა. საქართველოდან რომ მომსვლოდა მოწვევა და უკრაინიდან არა, საქართველოში წავიდოდი. მაგრამ თუ უკრაინიდან მომივიდა და საქართველოდან არა, მაშინ უკრაინაში.

# გრიზმანი მანჩესტერს მინიშნებას უკეთებს



მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელს ანტუან გრიზმანს კლუბის დატოვების შემთხვევაში ესპანეთში დარჩენისა და სხვა ჩემპიონატში გადასვლის პერსპექტივა აქვს, რომელთაგან პირველს მადრიდის რეალი და ბარსელონა, ხოლო მეორეს, პარი სენ-ჟერმენი და მანჩესტერ იუნაიტედი სთავაზობენ.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მანჩესტერ იუნაიტედს მიანიშნა, რომ მისი გადაბირება სავსებით შესაძლებელია. გრიზმანმა უკვე გამოთქვა პოლ პოგბას გვერდით ერთ კლუბში თამაშის სურვილი, უახლეს ინტერვიუში კი მან ისიც თქვა, რომ პრემიერ ლიგაში გადასვლა მისთვის მიმზიდველ ვარიანტს წარმოადგენს.

– მადრიდის ატლეტიკოდან მადრიდის რეალში გადასვლა გამორიცხულია. ბარსელონაში შესაძლებელია, მაგრამ მათ შეტევაში სამი ხელშეუხებელი ფეხბურთელი ჰყავთ. პსჟ საინტერესო ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ კარიერის ამ ეტაპზე ლიგა 1-ში გადასვლა არ მინდა. ლა ლიგაში დარჩენას ვამჯობინებ, ან პრემიერლიგაში გადავალ. გავიგე, პრემიერლიგა გიჟური ჩემპიონატიაო, ასე რომ, რატომაც არა. თუმცა, ატლეტიკოს ნებისმიერ ფასად დატოვებას არ ვაპირებ, – განაცხადა ანტუან გრიზმანმა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# პროსტატის ადენომა — მამაკაცების ყველაზე ხშირი პრობლემა

ეკა ირემაშვილი

პროსტატის ადენომა მამაკაცების „თავის ტკივილის“ ყველაზე ხშირი მიზეზია. ის გავლენას ახდენს როგორც პირად, ისე სოციალურ ცხოვრებაზე. დღეს უკვე წარმატებით არის შესაძლებელი ამ დაავადების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებით სრულფასოვანი ცხოვრების დაბრუნება.

პროსტატის ადენომის მკურნალობის უახლესი მეთოდების შესახებ აღნიშნული ცენტრის ექიმი-უროლოგი, ბატონი შოთა ბუგიანიშვილი გვესაუბრება.

***— ბატონო შოთა, რა ჩივილებს უნდა მიაქციოს პაციენტმა ყურადღება რომელსაც შესაძლებელია პროსტატის ადენომა აწუხებდეს?***

— პირველ რიგში, აღნიშნული პათოლოგიის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ასაკი, 50 წლის ზევით ყველა მამაკაცმა უნდა გაიაროს კონსულტაცია უროლოგთან, იმის მიუხედავად,



აქვს თუ არა მას რაიმე ჩივილი. რაც უფრო ხანდაზმულია პაციენტი, მით უფრო ხშირია პროსტატის ადენომის პრობლემები, თუმცა დღეს, არცთუ იშვიათად, ეს დაავადება ახალგაზრდა ასაკშიც იჩენს თავს.

ყურადღება უნდა მიექცეს, აწუხებს თუ არა ღამით გახშირებული შარდვა, ანუ ნიქტურია, შარდის ნაკადის მოდუნება, პერიოდულად წვა მოშარდვის დროს ანუ სტრანგურია, პერიოდულად შარდის შეუკავებლობა, მოშარდვის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. შესაძლებელია ყველა აღნიშნული სიმპტომი ერთდროულად არ ჰქონდეს პაციენტს, თუმცა ერთ-ერთი მათგანის არსებობა უკვე უროლოგთან მიმართვის საფუძველია.

***— როგორ ხდება პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება?***

— პირველ რიგში, პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის განსაზღვრა ხდება სისხლში (PSI), ეს არის ონკომარკერი, რომლის საშუალებითაც ვადგენთ, ავთვისებიან გადაგვარებასთან ხომ არა გვაქვს საქმე. საეჭვო პასუხის შემთხვევაში ვაწარმოებთ პროსტატის ტრანსრექტალურ ბიოფსიას. ყველაზე მარტივი და აპრობირებული მეთოდი არის საშარდე სისტემის ექოსკოპიური გამოკვლევა ნარჩენი შარდის და პროსტატის მოცულობითი ზომების განსაზღვრით. ასევე უროფლოუმეტრია, რითაც ჩვენ ვსაზღვრავთ შარდის ურეთრიდან გამოდინების ხარისხს და ბოლოს, ყველაზე ძველი და ცნობილი მეთოდი — რექტალურ-დიგიტალური კვლევა.

***— ქირურგიული ჩარევის კუთხით რა შეიცვალა დღეს თანამედროვე მედიცინაში?***

— არსებობს პროსტატის ადენომის ოპერაციის რამდენიმე მეთოდი, თუმცა ძირითადად პრაქტიკაში დანერგილია ორი მეთოდი, ეს არის პროსტატის ადენომექტომია ღია წესით, ე.წ. სისხლიანი ოპერაცია, როდესაც ღია განაკვეთით ვახდენთ წინამდებარე ჯირკვლის ცირკულარულად ამოღებას. მეორე მეთოდი გახლავთ თანამედროვე უსისხლო ოპერაცია — თ ღ ტრანსურეთრული რეზექცია.

## ციყვებთან მებრძოლი, ციყვის თავდასხმის შემდეგ, საავადმყოფოში აღმოჩნდა



ჩიკაგოს ქალაქის საბჭოს წევრი მძიმე ტრავმებით მას შემდეგ აღმოჩნდა საავადმყოფოში, როდესაც მისი ველოსიპედის ბორბლებქვეშ ციყვი აღმოჩნდა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ჰოვარდ ბრუკინზ-უმცროსი, ქალაქის მუნიციპალურ საბჭოში ჩიკაგოს ერთ-ერთი რაიონის წარმომადგენელი, პარკში ველოსიპედით სეირნობდა. მოულოდნელად გზაზე ციყვი გამოხტა და ველოსიპედის წინა ბორბალს დაეჯახა. ცხოველი ბორბლის სპიცებს შორის გაიჭედა და დაიღუპა, ხოლო ადგილობრივი პოლიტიკოსი ინერციით საჭეს გადაევლო და მიწაზე დაცემის შედეგად, თავის ძვლების მოტეხილობა მიიღო, მათ შორის გაიტეხა ცხვირი და ხუთი თუ ექვსი კბილი დაკარგა.

— ამ შემთხვევას სხვაგვარ ახსნას ვერ მოვუძებნი იმის გარდა, რომ ციყვი თვითმკვლელი ტერორისტივით მოიქცა და ჩემზე შური იძია, — განაცხადა ბრუკინზმა. მისი თქმით, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ კისერი მოეტეხა.

ამ ინციდენტის შემდეგ პოლიტიკოსმა საავადმყოფოში რამდენიმე დღე გაატარა. ექიმებს მიაჩნიათ, რომ სრულად გამოსაჯანმრთელებლად მას რამდენიმე თვე და მრავალრიცხოვანი ქირურგიული ოპერაციები დასჭირდება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში ბრუკინზი ქალაქის საბჭოში სიტყვით გამოვიდა და მოუწოდებდა, ბრძოლა გამოეცხადებინათ „აგრესიული ციყვებისთვის“, რომლებიც ნაგვის ყუთების თავსახურებს ღრღნიან. მან ცხოველებისგან მიყენებული ზარალი 300 ათას დოლარად შეაფასა.

## კალეიდოსკოპი

### უპილოტო საფრენმა აპარატმა ციხეში ტელეფონი და ხერხი შეიტანა



დანიის ქალაქ ნიუბერგის ციხეში უპილოტო საფრენმა აპარატმა შეიტანა ნივთების ნაკრები, რომელიც საპატიმროდან გაქცევისთვის გამოდგებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

გვიან ღამით ციხის ზედამხედველებმა შენიშნეს დრონი, რომელიც მეოთხე სართულზე მდებარე ერთ-ერთი საკნის ფანჯარასთან მიფრინდა. აპარატმა წარმატებით მიიტანა დანიშნულების ადგილზე ტვირთი და შემდეგ სიბნელეში გაუჩინარდა.

კონტრაბანდა დაუყოვნებლივ იქნა ამოღებული. დრონის მიერ მიტანილ ამანათში აღმოჩნდა ორი მობილური ტელეფონი, ხერხის პირი და სხვა ნივთები, რომელთა ციხიდან გაქცევის მოსაწყობად გამოყენებაა შესაძლებელი.

როგორც ჩანს, აპარატს მართავდა ერთ-ერთი პატიმრის თანამზრახველი. სამართალდამცავებმა მისი დაკავება ვერ შეძლეს.

— გაგვიმართლა, რომ დრონი შევნიშნეთ, — განაცხადა დანიის საპატიმროების კავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარემ კიმ ოსტერბაიმ, — სხვა დროს შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად დასრულდეს.

## ესპანელმა მილიარდერმა თავის მშობლიურ სოფელს 210 მილიონი დოლარი უანდერძა

გარდაცვლილმა მილიარდერმა ანტონიო ფერნანდესმა თავისი მშობლიური სოფლის ყოველ მცხოვრებს 2,6 მილიონი დოლარი დაუტოვა.

საერთო ჯამში, ლუდის ბრენდის კორონას დამაარსებელმა თავის 80 თანამემამულეს სოფელ სერესალეს დელ კონდადოდან 210 მილიონი დოლარი დაუტოვა.

— არ ვიცი, რა უნდა გვეკეთებინა ანტონიოს გარეშე. არაფერი გვებადა, — განაცხადა სოფელში ერთადერთი ბარის მფლობელმა მაქსიმინო სანჩესმა.

ბიზნესმენი 2016 წლის აგვისტოში 98 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მისი ანდერძის მოცემული ასპექტი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

ფერნანდესის ოჯახი, რომელშიც ის 13-დან ერთ-ერთი ბავშვი იყო, სილატაკეში ცხოვრობდა. ამის გამო მას სკოლის მიტოვება მოუხდა. 1949 წელს ანტონიო მექსიკაში გადაბარგდა და მუშაობა ლუდსახარში კომპანიის გრუპო მოდელოს საწყობში დაიწყო. 1971 წელს ანტონიო ფირმის გენერალური დირექტორი გახდა და კორონა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და ცნობად ბრენდად აქცია ბაზრის მო-



ცემულ სეგმენტში. 2005 წლიდან კომპანიას ფერნანდესის ნათესავი მართავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დუბაიში ცოცხალი ყვავილებისგან სამგზავრო ლაინერი შექმნეს




ავიაკომპანია ემირატებმა პარკ „საოცრებათა ბაღის“ თანამშრომლებთან ერთად ცოცხალი ყვავილებისგან მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ლაინერის ეირბუს ა380-ს ასლი ააგეს. ამ ინფორმაციას თავად ავიაკომპანია ავრცელებს.

ემირატებმა ლაინერის შექმნის პროცესი ვიდეოზე გადაიღო. თავად პროცესს კი ნახევარი წელი დასჭირდა. მასზე დღეში ათი საათის განმავლობაში 200-ზე მეტი ადამიანი შრომობდა.

ნატურალური ზომის თვითმფრინავის ფოლადის ჩონჩხი 500 ათასი ცოცხალი მცენარით დაამშვენეს. კონსტრუქციის საერთო წონამ 100 ტონა შეადგინა (ნამდვილი თვითმფრინავის წონა კი დაახლოებით 575 ტონაა). ყვავილების თვითმფრინავი დამთვალიერებლებისთვის უკვე გახსნილია.

## ასტროპროგნოზი

### 1 დეკემბრისათვის



**ვერძი** — ზებუნებრივი ძალები გიფარავენ. კეთილისმყოფელი დღეა რომანტიკული შეხვედრებისათვის, ოჯახური ურთიერთობის განსამტკიცებლად. **კურო** — მთლიანობაში, მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ეს საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. **ტყუპები** — ნებისმიერი მგზავრობა, ახალი ნაცნობობა იღბლიანია. ნუ იქნებით ოფიციალური. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი კუთხით გაგიმართლებთ. შეგიძლიათ, საკუთარი თავით იამაყოთ, ოღონდ თვითკმაყოფილებას ნუ მიეცემით. **ლომი** — ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ, განსაკუთრებით — დედმამიშვილებს. ერიდეთ ექსტრავაგანტურობას. **ქალწული** — სასიცოცხლო ტონუსი მცირდება. თავს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — ეცადეთ, ახლობლებთან კავშირი განამტკიცოთ. სამსახურში წარმატება გელით. ხელმძღვანელობა თქვენით კმაყოფილია. **ღრიანკალი** — პასიური, მშვიდი დღეა. ეცადეთ, მარტო არ დარჩეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. **მშვილდოსანი** — ახალი იდეების რეალიზებაში პლანეტები გეხმარებიან. იაქტიურეთ, ოღონდ — ზომიერად. **თხის რქა** — წარსულის გამოცდილება გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. მოსალოდნელია იმედგაცრუება სასიყვარულო სფეროში. **მერწყული** — წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა, მოგზაურობა სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუმცა ეს ყოველივე მცირე თანხა არ დაგიჯდებათ. **თევზები** — იზრდება საქმიანი, შემოქმედებითი აქტივობა. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი; 5. ქართული ტელეკომპანია; 8. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა.

**თარაზულად**: 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-წარმოდგენა; 6. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 7. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. მდინარე ქციას სახელწოდება ქვემო დინებაში; 13. ბრიტანული არაყი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### 29 ნოემბერი, №283

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გერმანია; 2. კენზო; 3. დეკენოზი; 4. ბელუჩი; 7. ანოდი; 9. ისანი; 12. აგლომერატი; 14. ბეშუმი; 15. მზითევი; 17. მოლუსკი; 20. „პრადო“.

**თარაზულად:** 5. ზედაზენი“; 6. ბიენალე; 8. რაზდანი; 10. „ბადაგონი“; 11. ნილოსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ბოლმა; 19. „სიმდი“; 21. ტრამპი; 22. ევრიპიდე; 23. პარკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდერი; 5. სახიობა; 8. იორი; 9. ბოჰემია; 10. „კუკარაჩა“; 12. თუშეთი; 13. სიამი; 15. ოტელო.

**თარაზულად:** 1. ბობსლეი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. კლიპი; 11. „პრადო“; 13. „სტელა“; 14. ბროლა; 16. ელია; 17. აპოთემა; 18. დონორი.

### 30 ნოემბერი, №284

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. „გინესი“; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. „ძელშავი“; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

**თარაზულად**: 5. მონბლანი; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კაროტინი; 11. ალგეთი; 13. ავენიდა; 16. ყაზახეთი; 18. კრინი; 19. წინდა; 21. ხუცესი; 22. ავლაბარი; 23. კანკანი.

კალეიდოსკოპი

## პარიზის პოლიციამ ღამის კლუბის სტუმარს პორშე დაუზიანა



პარიზის პოლიციამ ავტომობილ პორშეს კაპოტი ააფეთქა, რომელიც ღამით ტაქსების ავტოსადგომზე იყო დატოვებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.

სპორტული ავტომობილის 25 წლის მფლობელი ერთ-ერთ ღამის კლუბს სტუმრობდა. მას შემდეგ, რაც მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ გამონახა, მან თავისი პორშე ტაქსებისთვის განკუთვნილ გაჩერებაზე დატოვა, ავარიული სიგნალიზაცია ჩართო და თვითონ გასართობად წავიდა. მოგვიანებით ახალგაზრდა მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ საჭესთან დასაჯდომად მეტისმეტად ნასვამი იყო და ამიტომ სახლში ტაქსით წავიდა.

დილით პოლიციელებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ პორშე ტერორისტებს ეკუთვნოდათ და შესაძლოა დანაღმული ყოფილიყო. ისინი ავტოდილერის დახმარებით მანქანის მფლობელს დაუკავშირდნენ, მაგრამ სანამ ის ადგილზე მივიდოდა, იქ გამნაღმველები მივიდნენ. მათ გადაწყვიტეს, ყოველგვარი რისკი გამოერიცხათ და მანქანის კაპოტი პატარა ასაფეთქებელი მოწყობილობის დახმარებით გახსნეს და შეამოწმეს, შიგნით ბომბი ხომ არ იყო.

ადგილზე მისულმა მანქანის მფლობელმა აღმოაჩინა, რომ გამნაღმველების მიერ განხორციელებული აფეთქებით მისი 150 ათასი ევროს ღირებულების სპორტული მანქანის კაპოტი დაზიანებული იყო. მამაკაცი არ გამორიცხავს, რომ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს.

## ბრიტანელმა ტყუპებმა საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლო გაამხილეს



ბრიტანეთის ვუსტერშირის საგრაფოს ქალაქ სტორპორტ-ონ-სევერნის მცხოვრებმა ტყუპებმა საკუთარი ასი წლის იუბილე იზეიმეს და საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ შრომისმოყვარეობა და კარგი კვება დაასახელეს.

ირენ კრამპი და ფილიპს ჯონსი 25 წუთის ინტერვალით არიან დაბადებულნი. მათ საკუთარი იუბილე 20 ნოემბერს იზეიმეს და ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ჟურნალისტთან საუბარში განაცხადეს, რომ მათ მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს. ტყუპები ერთ სკოლაში დადიოდნენ, ერთ სამუშაოზე მოეწყვნენ, ერთად ცხოვრობდნენ და მთელი სიცოცხლე ერთად არიან. ამჟამად ასი წლის ტყუპებს 58 წლის კარლი ჯონსის შვილი უვლის.

ალსანიშნავია, რომ ირენი და ფილიპსი დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ექვსი ტყუპიდან ერთ-ერთი არიან, რომლებმაც ასი წლის იუბილე იზეიმეს. მათ ჰყავდათ უფროსი და დოროთი, რომელიც 2006 წელს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ივლიტა, მერი, ლონგი ფარცვანიები, მაია, რეზო გოგოხიები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ეროვნული მოძრაობის გამორჩეული მოღვაწე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ერთგული თანამებრძოლი, ღირსეული მამულიშვილი

**ვალტერ შურღაია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



დედა დალი შარია-გადელია, მეუღლე ირმა თორია, შვილები ქეთი, თათია, ანა გადელიები, ძმა ზაზა, რძალი რუსუდან ყოლბაია, ძმისშვილი ბელა გადელია, და ქეთინო, სიძე ზურაბ ჯეჯეია, დისშვილები ვალერი, ჯონი, ლუკა ჯეჯეიები, ბებია ნუცა კვარაცხელია, სიდედრი ზაირა გითოლენდია, ცოლისდა ირინა, ცოლისძმა ირაკლი თორიები, ბიძები ზურაბ და მერაბ საბულუები, ქვისლი ვალერი სიორიძე ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გიგა იგორის ძე გადელიას**

გარდაცვალებას.

**გამოსვენება:** ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, 14 საათზე, ღვთისმშობლის შობის ტაძრიდან (თემქა, XI მიკრორაიონი, V კვარტალი (პურის ქარხნის ტერიტორიაზე).

გულიადა, გულნაზი და გურანდა ჭკადუები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის შვილის

**გიგა იგორის ძე გადელიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი იწყება




30 ნოემბერს თბილისის ჩასაბერ საკრავთა მე-8 საერთაშორისო ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება.

ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი და კლარნეტისტი ლევან ცხადაძე ცნობილ ჰოლანდიელ გიტარისტ იზარ ელიასიანთან ერთად პირველ კონცერტს გამართავს.

მუსიკოსები ქართველი მსმენელისათვის ყანჩელის, გოლიხოვის, ფრაიდლინის, პფისტერის, კიუფნერის ნაწარმოებებს შეასრულებენ.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია მოცარტის კონცერტის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლონელი ფლეიტისტი აგათა იგრასი, ფრანგი ჰობოისტი სელინ მუანიე, იტალიელი კლარნეტისტი პაოლო ბელტრამინი, ბრიტანელი ფაგოტისტი ემი ჰარმანი, ფრანგი ვალტრონისტი ერველ ჟულანი და რაუსდაელის კვარტეტი ნიდერლანდებიდან.

## საქართველო ოსური კულტურის დღეებს მასპინძლობს




საქართველოში ოსური კულტურის დღეები გაიმართება. კულტურული ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით არის დაგეგმილი. პროექტის ორგანიზატორი საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირია.

აღნიშნული ღონისძიების პირველი მასპინძელი თელავია, სადაც 30 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ნართების" კონცერტი გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ხელნაკეთი და მხატვრების ნამუშევრების გამოფენა და კონცერტების გამართვა.

ოსური კულტურის დღეების ფარგლებში დასკვნითი კონცერტი თბილისში 2017 წლის ივნისში ჩატარდება.

## თეა გვასალია სითი პარკს ქვებით ემუქრება



სითი პარკი ბევრი მძღოლისთვის მოურჩენელი თავის ტკივილია. მათი ჯარიმებით დაღლილი მძღოლები მუქარას არ იშურებენ ორგანიზაციის მისამართით, თუმცა ჯარიმების გადახდა მაინც უწევთ.

მათ შორისაა ყოფილი ტელეწამყვანი თეა გვასალია, რომელიც სითი პარკს ფანჯრების ქვებით ჩამსხვრევით ემუქრება:

– არავის გინდათ, მივიდეთ „სითი პარკის" ოფისთან და ქვებით ჩავუმტვრიოთ ფანჯრები? თან ღამით და ჩუმად კი არა, დღისით, მზისით და კმაყოფილი გამვლელების თვალწინ!!! ან მიმასწავლეთ, სად სხედან და მე თვითონ მივალ!!! შეიძლება, ბავშვების გამოსაყვანად სკოლაში მისული, სკოლის გადასახადზე მეტს მაგ ოხრების ჯარიმებს ვიხდიდე? ააშენეს სადმე სადგომი და არ გავაჩერე? თან, ზუსტად იციან სკოლის დამთავრების დრო და ვირთხებივით შეესევიან ხოლმე მანქანებს.

მე მაინტერესებს, სად მიდის ჯარიმებიდან შესული მილიონები. იქნებ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას ხმარდება ან საქველმოქმედო საქმეებში ხარჯავენ. სად შეიძლება მათი შემოსავლების ნახვა? ეს საჯარო ინფორმაციაა? იურისტებო, მასწავლეთ, რა, როგორ შეიძლება ამ მონაცემების მოპოვება.

## ანსამბლ „რიჰოს" სოლისტი კახეთში მოკლეს



ფოლკლორულ ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სვანეთში მოღვაწე ფოლკლორული ანსამბლის „რიჰოს" სოლისტი ტრისტან პაკელიანი კახეთში მოკლეს. ის კრიმინალის ტყვიამ იმსხვერპლა.

**გიორგი უშიკიშვილი:**

– ქართულ ფოლკლორს, სვანეთს დააკლდა შესანიშნავი პიროვნება, ანსამბლ „რიჰოს" სოლისტი ტრისტან პაკელიანი. დატრიალდა ძალიან დიდი ტრაგედია. კახეთში სტუმრად ყოფნის დროს კრიმინალის ტყვიამ იმსხვერპლა. როგორც მითხრეს, შვილს გადაეფარა და ასე დაასრულა ცხოვრება. ნათელში ამყოფოს ღმერთმა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

## ფრანჩესკო ტოტი კარიერის დასრულებას არ აპირებს



იტალიური ფეხბურთის ლეგენდა ფრანჩესკო ტოტი 40 წლის ასაკში კარიერის დასრულებას არ აპირებს.

სეზონის დასაწყისში ტოტიმ თქვა, რომ ზაფხულში თავს დაანებებდა ფეხბურთს, თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ტოტიმ განაცხადა, რომ კარგ ფორმაშია და შეუძლია 90 წუთის მაღალ დონეზე თამაში, შესაბამისად, არ აპირებს კარიერის დასრულებას.

ტოტიმ მთელი თავისი კარიერა მხოლოდ ერთ გუნდში, რომაში, გაატარა, თუმცა იტალიელი ვეტერანი არ გამორიცხავს, რომ აშშ-ს რომელიმე გუნდში გადავიდეს სათამაშოდ.

## სამუელ უმტიტიმ ტრავმა მოირჩინა



ბარსელონას ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა სამუელ უმტიტიმ ტრავმა მოირჩინა და ექიმებმა მას თამაშის ნება დართეს.

უმტიტიმ დაახლოებით სამი კვირა გამოტოვა ტრავმის გამო და მისი არყოფნა ბარსელონას დაეტყო.

უმტიტიმ რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩაატარა კატალონიური გუნდის შემადგენლობაში და ის ბარსელონას წარმატებულ ტრანსფერად ითვლება.

ფრანგი მცველი შესაძლოა რეალის წინააღმდეგაც ვიხილოთ 3 დეკემბერს, თუ ლუის ენრიკე ამას ისურვებს.

ბარსელონამდე უმტიტი ფრანგული ლიონის ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 1 დეკემბერი**

**06.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**ამალია ერჰარტი**" **15.00, 03.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**საზღვაო ქვეითები**" (ჯილენჰოლი)

**08.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.00, 17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ბიჭები**" **11.35** დ/ფ "დიზაინი" **12.00** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** "კრიმინალური სეზონი" **23.00** "მოამბე" (3 ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**ჰეროკრატია** (9+1)" **00.30** გრიფით საიდუმლოდ **01.00** მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**" **03.30** მხ/ფ "**ეს უხერხული მომენტი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერსერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. აგენტი ფაფი **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00, 1.50** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლურჯის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.00** მხ/ფ "**გადამზიდი 2**"

**06.15** სჯანი-"ქრისტიანული დღესასწაულების პაგანიზაცია" **06.40** პატრიკი-ღირსი მამა ალექსი შუშანია **06.45** დ/ფ "საქართველო ჩემი სამშობლო" **07.25** ქართული ალბომი **07.50** კვირიაკის სიუჟეტი "ილორი და ბედია" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მევლუდი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "ბატიკა" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "ლობიო" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება-რელიეფის ხელოვნება **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **20.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "პატარა სიმფონია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე (ციკლური გადაცემა) **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."ნოე და მისი შთამომავლობა" **22.20** ჩვენი საგანძური (ციკლური გადაცემა) **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.5078

ევრო — 2.667

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1177

100 რუსული რუბლი — 3.8591

## ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის





## 29 ნოემბრიდან

## საბავშვო ენციკლოპედია




ეს საბავშვო ენციკლოპედია თქვენი შვილის პირველი სერიოზული წიგნი გახდება სამყაროს შემეცნების გზაზე.

ბავშვებისთვის გასაგები ენით გადმოცემულ და თემატურად დალაგებულ ყოვლისმომცველ ინფორმაციას თან ერთვის საუცხოო იუმორით შესრულებული ათასამდე ფერადი ილუსტრაცია.

ამ წიგნში ნახავთ პასუხებს თქვენი ცნობისმოყვარე შვილის თითქმის ყველა შეკითხვაზე.

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი



## 1 დეკემბრიდან

## ჯაშუშები და ჯაშუშობა




კლაივ გიფორდი

„ჯაშუშები და ჯაშუშობა“ სახალისო და შემეცნებითი წიგნია, რომელიც გაგაცნობთ სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს, გიამბობთ ისტორიაში ყველაზე განთქმულ ჯაშუშთა ბიოგრაფიებს.

გაიგებთ, თუ როგორ იყენებენ ისეთ უცნაურ იარაღებს, როგორებიცაა: თოფი-პომადა, სხეულში რადიოჩამონტაჟებული ცოცხალი კატა.

შეიტყობთ ყველაზე გახმაურებული სპეცოპერაციების შესახებ და გაეცნობით უამრავ საიდუმლო ინფორმაციას.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

მდიდარი კვდება და გამოაცხადებს, რომ მთელი მისი ქონება ყველაზე ზარმაც შვილს დარჩება. ეკითხება უფროს შვილს:

– შვილო, მოდი ჩემთან. აბა მიპასუხე, ქარი 100 დოლარიანს მიაფრიალებს, როგორ მოიქცევი?

– თითსაც არ გავანძრევ, ზედმეტად რატომ უნდა დავიტვირთო თავი.

– ყოჩაღ, შვილო, კარგი, წადი.

ახლა შუათანა შვილს უხმობს:

– შვილო, მოდი ჩემთან. აბა მიპასუხე, როგორ მოიქცევი, როდესაც შიშველი ულამაზესი გოგონა ხელებს გიწვდის და თავისთან გიხმობს?

– თავი რატომ შევიწუხო, ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლი.

– ყოჩაღ, კარგი, წადი, – უთხრა შუათანას და მერე უმცროსს დაუძახა:

– შვილო, მოდი ჩემთან.

– შენ თვითონ მოდი.

•••

გამოცდა მიმდინარეობს. სტუდენტი პასუხების გასაცემად მივიდა პროფესორთან, ხელში კი პატარა ფურცელი უჭირავს, რომელზეც რამდენიმე წინადადებაა დაწერილი. პროფესორი ეკითხება:

– სადაა თქვენი პასუხი?

– თავშია.

– და ეს რაღა არის? – მიანიშნებს ფურცელზე.

– ეს არ დაეტია და...

•••

საღამოს ქმარი ცოლს ეუბნება:

– საყვარელო, შენ ისეთი ლამაზი ხარ, ალერსიანი, მიმზიდველი, შესანიშნავი დიასახლისი.

– ტყუილა ნუ წვალობ, დავიღალე, სექსი არ იქნება...

– ეგოისტი ხარ! შენი კერძი ამჟავებულია, უკანალი კი გასიებული!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## სერია „ცამეტის“ წიგნი

## 25 ნოემბრიდან




პირველად ქართულ ენაზე!

# ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს



## სერია „ცამეტის“ წიგნი

## 2 დეკემბრიდან

თომას ჰარისი

# კრავთა დუმილი




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს


## ანდრეს ინიესტა ელ კლასიკოში ითამაშებს



ბარსელონას ერთ-ერთი ლიდერი ანდრეს ინიესტა სრული დატვირთვით ვარჯიშობს და სათამაშოდ მზად არის. ინიესტამ ტრავმა ვალენსიასთან შეხვედრის დროს მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოჩენილა.

ინიესტას დაბრუნებას დეკემბრის შუა რიცხვებში ელოდნენ, მაგრამ ანდრესმა უფრო ადრე მოიშუშა ტრავმა და დიდი ალბათობით მას რეალის წინააღმდეგ მოედანზე ვიხილავთ.

რეალთან მატჩი ბარსელონასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რეალი 6 ქულით წინ არის და ბარსელონას აუცილებლად მოგება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კატალონიურ გუნდს ესპანეთის ჩემპიონატის მოგება გაუჭირდება.

შეხვედრა 3 დეკემბერს, თბილისის დროით 19.15 საათზე დაიწყება.

## შაკოპაენსეს ფეხბურთელებით მოამარაგებენ



29 ნოემბერს საფეხბურთო სამყაროში დიდი ტრაგედია დატრიალდა. ბრაზილიური გუნდის შაკოპაენსეს თვითმფრინავი კოლუმბიაში ჩამოვარდა, რის შემდეგაც შაკოპაენსეს თითქმის ყველა ფეხბურთელი დაიღუპა.

ამის გამო, ბრაზილიურმა და არგენტინულმა კლუბებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ყველა გუნდმა თითო ფეხბურთელი შაკოპაენსეს გადასცეს, იმისთვის, რომ ბრაზილიურმა გუნდმა არსებობა გააგრძელოს.

ატლეტიკო ნასიონალის ფეხბურთელებმა, რომელთა წინააღმდეგ კოპა სუდამერიკანას ფინალის სათამაშოდ მიფრინავდა შაკოპაენსე კოლუმბიაში, განაცხადეს, რომ ეს ტიტული შაკოპაენსეს გადაეცეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ხამესი რეალიდან წასვლას აპირებს

მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი რეალში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, ამიტომ, სავარაუდოდ, ზაფხულში ის გუნდს დატოვებს. ხამესს გუნდის მთავარ მწვრთნელ ზი-



ნედინ ზიდანთან უთანხმოება აქვს, რის გამოც ის იშვიათად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში.

კოლუმბიელ ფეხბურთელს ბევრი მსურველი ჰყავს, განსაკუთრებით ინგლისური გუნდები აქტიურობენ.

ხამესზე პრეტენზიას ჩელსი და მანჩესტერ იუნაიტედი აცხადებენ, თუმცა თვითონ ფეხბურთელს თავისი მომავალი კლუბის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ჩანჩქერი აფრიკაში; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კოსოვოს დედაქალაქი; 4. ამერიკული სიგარეტი; 7. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. ქერისა და ფეტვისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. მდინარე აშშ-ში; 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ავტოდრომი საფრანგეთში; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 21. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 22. ტანსაცმლის თეთრეულის შესანახი კარადა; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა